წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 20 მკათათვე 1916 წ. № 160

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] რდზე პეტიტი ღირს 15 კ., [illegible] კნელზე— [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით $15\times2$ ღირს 4 მ.; $20\times2$ ღირს მ., $25\times2$ ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ელ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
**ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვა ნელობით.
პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
## კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
ოთხშაბათს, 20 მკათათვეს,
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
## საშოვნელს ნაშოვნი სჯობიან
კომედია 1 მოქმ.
## ხელი ასწით
ვოდევილი 1 მოქ.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. სტუმრები საზოგადო წესით.
(1—184—1) დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკდის ქუჩა, № 19.

დ. ზესტაფონში
## ექიმი დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—9)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
## ა. დ. შაჰპაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

## ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

## შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასად
## საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

### თბილისი, 20 მკათათვე

**მესამე წლის დასაწყისი.** ორი წელიწადი შესრულდა კიდეც რაც მსოფლიო ომი დაიწყო, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ ზავის შანსები დღეს უფრო ნაკლებია ვიდრე ოდესმე ყოფილა. თუ ამ ერთი წლის წინათ გერმანიას გამარჯვებულის პოზა ჰქონდა, ახლა ბრძოლის ასპარეზზე ერთგვარი ძალთა თანასწორობაა დამყარებული და მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში სასწორი საგრძნობლად შეთანხმების სახელმწიფოებისაკენ გადაიხაროს. ასეთი ცვლილება იმით აიხსნება რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში გერმანიისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ძალა თუ არ შემცირდა ყოველს შემთხვევაში ერთ დონეზე შერჩა, შეთანხმების სახელმწიფოების რესურსებმა კი შესამჩნევად იმატა. საუკეთესო ნადავლი გერმანიამ ომის დაწყებისთანავე ჩაიგდო ხელში: ბელგია და ჩრდილო საფრანგეთის დეპარტამენტები. ამ ორი ქვეყნის ბუნებრივმა სიმდიდრემ—ქვანახშირმა და რკინის მადანმა, მათმა განვითარებულმა საქარხნო წარმოებამ დიდი ტეხნიკური უპირატესობა მიანიჭეს ისედაც თავიდან ფეხებამდე შეჭურვილს გერმანიას და შეაძლებინეს მას პირველი და მეორე წლის განმავლობაში მოწინააღმდეგეს თოფ-ზარბაზნების ქარიშხალისებური გრიალით შეხვედროდა.

პირიქით შეთანხმების სახელმწიფოები ნაკლებ მომზადებულნი იყვნენ არა მარტო ტეხნიკურად, არამედ იდეურად და ზნეობრივადაც. ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე როგორიც, მაგალითად კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხი, სრული თანხმობა არ არსებობდა ინგლის-საფრანგეთსა და რუსეთს შორის, დრო გამოშვებით იჭვი და უნდობლობა იჩენდა თავსა და სეპარატიული ზავის იდეასაც ჰქონდა ცოტაოდენი საფუძველი. ბოლო დროს ამ იდეას სრულიად გამოეცალა ნიადაგი. ინგლისმა სავალდებულო სამხედრო ბეგარა შემოიღო, მრავალმილიონიანი ლაშქარი გაწვრთნა და საფრანგეთის ასპარეზზე გადასხა, რუსეთმა რამოდენიმე ათასი ჯარის კაცი გაგზავნა ვერდენთან საბრძოლველად. თავის მხრით ინგლისელებმა და ფრანგებმა აფიცრებისა, ავტომობილისტების და ტეხნიკოსების რაზმები მიაწოდეს თავის აღმოსავლელ მოკავშირეს. ეს ლაშქარი და ეს რაზმები ერთგვარ მძევალს წარმოადგენენ, ერთგვარ თავმდებს მტკიცე ერთობისა და თანხმობისას. ამას დაემატა საერთო უმაღლესი შტაბის დაარსება პარიზში. შეთანხმებული სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად, ეკონომიური კონფერენციები, ფინანსიური წყაროების გამოძებნა, სამხედრო მასალის შეკვეთა ნეიტრალ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში და სხ. და ბოლოს რამდენიმე ცოტათ თუ ბევრად საგრძნობელი დიპლომატიური გამარჯვება, მაგალითად წყალთა ქვეშ ბრძოლის ან საბერძნეთის ნეიტრალიტეტის საკითხი.

უეჭველია ზემოდ აღნუსხულმა გარემოებებმა გავლენა მოახდინეს გერმანიის ხელმძღვანელ წრეებზე და ოდნავ დააცხრეს მათი სამხედრო აღფრთოვანება. პირველი წლის თავზე ამ წრეებში მხოლოდ ანექსიაზედ იყო ლაპარაკი. დღეს როგორც ფრანგული გაზეთი „ტანი“ გადმოგვცემს გერმანიაში ერთსულოვნება აღარ არსებობს ამ საკითხში. უკიდურესი პანგერმანისტები და იმპერიალისტები რასაკვირველია კვალინდებურად დიდი გერმანიის შექმნაზე და მსოფლიო ბატონობის განმტკიცებას ოცნებობენ. მაგრამ თვითონ მთავრობა როგორც სჩანს თან და და თან უფრო ზომიერი და თავდაჭერილი ხდება. როგორც სჩანს ბეტმან ჰოლვეგს არ სურს გაუფრთხილებელი მოთხოვნილებები წამოაყენოს, ხიდი ჩასტეხოს და უკან დასახევი გზა მოსპოს. ოფიციოზური „ჩრდილო გერმანიის საყოველთაო გაზეთი“, რომელიც ჩეეულებრივ კანცლერის შეხედულებებს ჰხატავს, ამ ორიოდე კვირის წინათ სწერდა, რომ ომის მიზნები მიღწეული იქნება „თუ მტრებს საბოლოოდ წაერთმევა გერმანიაში შესაჭრელი კარები, თუ რუსეთი გადასროლილი იქნება მდინარეებს იქით და თუ გერმანიის ეკონომიური განვითარება უზრუნველ იქნება მთელი დედამიწის ზურგზე“. არ შეიძლება ითქვას რომ გერმანული გაზეთის მიერ წამოყენებული მიზნები საკმაოდ ნათელი და გარკვეული იყოს; გამოურკვეველია, სად არის სახელდობ გერმანიის კარები და რას ნიშნავს მდინარეებს აქით გადასროლა? მაგრამ ყოველ შემთხვევაში ცხადია რომ ეს ნაკლებს ნიშნავს ვიდრე ბელგიისა, ჩრდილო საფრანგეთისა, პოლონეთისა და უკრაინის ანექსია ან კიდევ რუსეთის იმპერიის დანაწილება, რაზედაც ამ ერთი წლის წინად ლაპარაკობდნენ გერმანიის ოფიციალ წრეებში.

მაგრამ თუ გერმანიამ ამ ბოლო დროს ტონი ოდნავ დაიდაბლა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ თავისი მილიტარული ენერგია შეემცირებინოს, პირ-იქით უკანასკნელი დროის ფაქტები მოწმობენ, რომ ეს ენერგია თან და თან უფრო კაჟდება გაჭირვებაში. რადგან გერმანია უზარმაზარი ციხის მზგავსად ყოველმხრივ მტრის ჯარითაა შემორტყმული, მის უპირველეს საზრუნავს იმ თავითვე ის შეადგენდა, რომ რეგულიარული ურთიერთობა დაემყარებინა გარეშე ქვეყანასთან. ეს ურთიერთობა მით უფრო აუცილებელი იყო, რომ გერმანიას უხვად ესაჭიროებოდა ზოგიერთი საომარი და საკვები მასალა: პური, სპილენძი, აზოტი და სხვ. აზოტის საკითხი გერმანელმა აკადემიურმა მეცნიერებამ გადასწყვიტა შარშან: მან მოიგონა საშუალება აზოტის გამოყოფისა პურისაგან. პურისა, სპილენძისა და სხვა მასალის მისაღებად კი გერმანიამ ნეიტრალური სახელმწიფოების შუამავლობით ისარგებლა: განსაკუთრებით ჰოლანდიის, შვეციის, დანიისა, შვეიცარიის და რუმინიის. მაგრამ უდიდესი და უძლიერესი ნეიტრალური სახელმწიფო, შეერთებული შტატები, ბოლო დრომდე მაინც მოწყვეტილი იყო გერმანიას: ატლანტიის ოკეანეზე მაინც ინგლისის ფლოტი ბატონობდა გერმანელ წყალქვეშა ნავების თავგანწირული მოქმედების მიუხედავად. რადგან ბლოკადის გარღვევა შეუძლებელი აღმოჩნდა, გერმანია შეეცადა სხვა ფრივ მოევლო საქმისთვის: ამ ორიოდე კვირის წინათ ამერიკისკენ გაემგზავრა პირველი სავაჭრო წყალქვეშა ნავი „დოიტშლინდი“, უვნებლად მიაღწია ნავთსადგურს და საჭირო საქონლით დატვირთული უკან დაბრუნდა. მას მიჰყვა მეორე სავაჭრო წყალქვეშა გემი „ბრემენი“. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ გერმანიის ვერფებში უნდა შენდებოდეს მთელი ფლოტი ასეთი გემებისა.

ზემოთ ნათქვამიდან ნათლად სჩანს რომ ომის მსვლელობასთან ერთად იზრდება მოწინააღმდეგეთა ჟინიანობა, გამჭრიახობა და თავგამოდება. არც ერთი მხარე არ ფიქრობს იარაღის დაყრას, სანამ საბოლოოდ არ ამოიწურება უკანასკნელი რესურსები. ეს გარემოება გვაფიქრებინებს რომ მსოფლიო ომი კიდევ გასტანს რამოდენიმე ხანს. ზავის მოტრფიალეთ მესამე წლის დასაწყისი სანუგეშოს არაფერს უქადის ჯერ-ჯერობით.

## „სახალხო ფურცელი“ და ს. მ. ბანკი

პირველი წელიწადი არ არის, რაც „სახალხო ფურცელი“ და მისი წინაპარი ორგანოები არსებობენ, პირველი წელიწადი არ არის რაც არსებობს ს. მ. ბანკი და მისი „გადაგვარებული“ ხელმძღვანელი („სახალხოს“ ტერმინოლოგიით რომა ვსთქვათ), პირველი წელიწადი არ არის რაც ნართაულად და ახდილად ლაპარაკობენ საზოგადოებაში და პრესაში მის უვარგისობაზედ, და ამიტომ ბანკის საქმეთა მისუსტებაზედ, მაგრამ... აი, უცნაური უცნაურობა—მხოლოდ პირველი წელიწადია რაც ალაპარაკდა „სახალხო ფურცელი“ ს. მ. ბანკის საქმეებზედ და მის ხელმძღვანელზედ. რა მოხდა წრეულ? ბ-ნი გრუზინსკი **წრეულ** გადაგვარდა უარესად? ბანკის საქმეებმა **წრეულ** დაიწყეს ცუდი მიმართულების მიღება? სად იყო „სახალხო ფურცელი“, როცა 1912 წლიდან დაწყებული, რაც ჩვენი მიმართულების ჟურნალ-გაზეთობა გამოდის, ჩვენ სულ იმას ვამბობდით, რომ ჩვენი უდიდესი საქმის, ს. მ. ბანკის ხელმძღვანელნი არ ვარგანან და მათი საქმენიც მეტად უხეირონი არიან. სად იყო, მაგალითად, ფედერალისტების ორგანო, როცა თ-დ ი. აფხაზის პროექტით მთელ ბანკზედ დარჩენილი მამულები გროშის ფასად უნდა გაყიდულიყო? ჩვენ ვწერდით და „სახალხო“ სდუმდა; სად იყო „სახალხო“, როდესაც იმავე გრუზინსკიმ კლასიკური სიტყვა წარმოსთქვა: „ჩვენ **გვიან გავიგეთ**, რომ ერთ-ერთმა საადგილმამულო ბანკმა ნებართვა მიიღო თბილისში განყოფილების გახსნისაო“ და მოქიშპე ბანკმა, თითქმის კატასტროფიული ამბავი მოგვიმზადა, ყოველ კანონიერების დარღვევით და ჩვენი უფლების შელახვით? მაშინ „სახალხო“ სდუმდა და „გადაგვარებულ გრუზინსკის“ ხელს არ ახლებდა. ჩვენ ვწერდით, კრებებზედ ვყვიროდით და ეეკამათებოდით ასეთ გადაგვარების, უილაჯობის ნიშნებს, ვიწვევდით „სახალხოს“ ხმის ამოსაღებად, მაგრამ მას პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული, როდესაც ასეთი **დიდი** საკითხი სწყდებოდა ჩვენი ბანკის და ჩვენი ერის ცხოვრებაში. სად იყო „სახალხო ფურცელი“, როდესაც ცნობილი „ათი პროცენტის“ საკითხი სწყდებოდა და ბანკს მოუფიქრებლად კიდევ ერთ საფრთხეს უმზადებდნენ „გადაგვარებულნი“? ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით პრესით, კრებებზედ, კერძო ჯგუფებში (სადაც სწყდება ხოლმე ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები) და „სახალხო“ სდუმდა. სად იყო „სახალხო“, როცა ახალი საბანკო შენობის, მის ამშენებელთა და მაზედ დახარჯულ ფულებზედ იყო სჯა-ბაასი, წერა და კრიტიკა? ჩვენ ვლაპარაკობდით, და „სახალხო“ სდუმდა. რად? სად იყო, როცა... მაგრამ ასეთი **ღირსშესანიშნავი** საკითხები ს. მ. ბანკის შესახებ იმდენია, რომ ჩამოთვლას დასჭირდებოდა ცალკე წერილი... და „სახალხო“ სდუმდა და სდუმდა მხოლოდ. მაშ რა მოხდა **დღეს**, რომ სრულიად უმნიშვნელო (შედარებით აღნიშნულ საკითხებთან) საგნის გამო ალაპარაკდა „სახალხო ფურცელი“ და ალაპარაკდა ისეთი თავგამოდებით, თითქო ცა და ქვეყანა დაინგრეოდეს იმის გამო, რომ ბანკის ახალ შენობას შიგნიდან შეღებავს არა „ქართული სამხატვრო საზოგადოება“, არამედ უბრალო „არტელი მალიარებისა“. რაღა თქმა უნდა, ესეც გასაკიცხი მოვლენაა, ესეც მაჩვენებელია ერთხელ კიდევ ჩვენი გადაგვარებისა, მაგრამ ეს ხომ მარტო დღევანდელი დღეის შედეგი არ არის. და მარტო თ-დი გრუზინსკი ხომ არ აშენებს ახალ შენობას, არამედ თ-დი დავით ჯორჯაძეც—„სახალხო ფურცლის“ რედაქტორი. მაშ რა მოხდა, რა, რომ „საზოგადოებრივი აზრის მცველი“ გაზეთი, „გადაგვარებულთა“ მტერი და აღმომფხვრელი მარტო წრეულ გამოვიდა ბანკთან და მის ხელმძღვანელთან „საასპარეზოთ“? ვინ გაიგებს თუ „სად არის დამარხული ძაღლის თავი“? ვინ მიხვდება თუ რად დაიწყო ჯირითი ბ-ნ „კორდელისა“ და მის დიალოგიდან თ-დ გრუზინსკისთან, რად დაიწერა მეთაურები, ფელეტონები, „დალაქების“ მოსწრებული(?) სიტყვები და „სიზმრები“ და თვით ბ-ნი „სიტყვაც“ კი თავის ფილოსოფიურ-ფსიხოლოგიურ-პოლიტიკურ „ამბებში“ ათახსირებს გადაგვარებულ გრუზინსკის? იმ გრუზინსკის, რომლის არჩევანში და ზურგის გამაგრებაში ყველაზედ მეტი ღვაწლი მიუძღვით იმავ ფედერალისტებს?

საგანი სულ უბრალოა: საზოგადოებრივი, სოციალისტური პარტია ფედერალისტებისა, მარტო **წრეულ** დარწმუნდა გრუზინსკის გადაგვარებაში და სწორედ იმ დროიდან, რაც გრუზინსკიმ გამოაბძანა, არ. ჯ—შვილი

ბანკიდან და ბანკის განცხადებაზედ უარი უთხრა „სახალხო ფურცელს“. ვინც იცის „შინაური“ საქმეები „შინაურებისა“ და ვინც მიაქცია ყურადღება რომ ბანკის განცხადებანი აღარ იბეჭდება „სახალხო ფურცელში“—ის მიხვდება ადვილად თუ რა „საზოგადოებრივი“ პერტურბაცია მოხდა „სახალხოელთა“ ბანაკში, რომ ასე ადვილად ერთ წელიწადში გადააგვარეს გრუზინსკიც, გააფუჭეს ბანკის საქმეებიც და ბანკის შენობასაც დაუკარგეს ეროვნული იერი. სუქან „განცხადებას“ ბევრი რამ შეუძლიან და აქედან წარმომდინარეობს ასეთი გააფუთრებული იერიშები. ბანკის შენობის მხატვრობა მხოლოდ საბაბია და ამას იქით ნამდვილი მიზანი იქნება გრუზინსკის ადგილის დაჭერაც იყოს ვინმე ფედერალისტისაგან, რადგან ვის არ ახსოვს არ. ჯ—შვილის ცნება, რომ „პასუხსაგებ ადგილების დაჭერა ეროვნული მოვალეობაა ჩვენიო“, თუნდაც ეს ადგილები „თბილიც“ იყოს (ავტ.). როდესაც ვინმე ფედერალისტი და სოცალისტი გახდება ბურჟუაზიულ ბანკის დირექტორი და ამ გვარად შეასრულებს ეროვნულ მოვალეობას, რაღა თქმა უნდა ის არც სოციალისტურ გაზეთს დაივიწყებს და „განცხადებას“ მისცემს და არც „სოციალისტურ“ სამხატვრო საზოგადოებას მოაკლებს გადაუგვარებელ სამუშაოს. ის ნამდვილი დამცველი იქნება „ბურჟუაზიულ წესწყობილებაში სოციალისტური პრინციპებისა“ და არ მოაკლებს მოწყალებასა თვისსა ამომრჩეველთა თვისთა.

ასე იღწვის საზოგადო ინტერესების დამცველი გაზეთი: სდუმს, როცა საყვირალია საზოგადო ინტერესების გულისთვის და ყვირის, როცა საყვირალია საკუთარი ინტერესების გულისთვის. გზა დაგვილოცნია.

რ. გ.

# მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება ჩვენში

1912 წლის დამდეგს ჩამოვიდა თბილისს ბ. ტოტომიანცი და წაიკითხა ლექცია მოსკოვის სახალხო ბანკის საქებ-სადიდებლად. ლექტორმა მოუწოდა თბილელ მდიდრებს გაესალებიათ ამ ბანკის აქციები. ლექციის შემდეგ გაიმართა ბაასი და ამ ბაასის დროს ბ. ტოტომიანცს შენიშნეს, რომ ბანკის წესდებაში არ იყო ისეთი მუხლი, რომელიც მას ნებას აძლევდეს წვრილი კრედიტისა და კოოპერატიულ ამხანაგობათ მათ გამგეობის მიერ ხელმოწერილი თამასუქები გაუნაღდოს, ეგრედ წოდებული სოლო-ვექსილები. ბ. ტოტომიანცმა ბრძანა, რომ ამას ბანკი შინაური რეგლამენტაციით მოახერხებსო. შინაური რეგლამენტაციით ამისი მოხერხება არ შეიძლება, რადგან ეს საერთო საკრედიტო კანონს ეწინააღმდეგება, და ჩვენ არ ვიცით რანაირათ აძლევს ბანკი სესხს თავის კლიენტებს.

მეორე უხერხულობა ის არის, რომ 85% სახალხო ბანკის აქციებისა, წვრილ-კრედიტისა და კოოპერატიულ ამხანაგობათა ხელშია. თუ ამხანაგობათ თავისუფალი ფული აქვთ აქციების შესაძენათ, მაშინ სესხი რათ უნდათ, და თუ სესხი სჭირდებათ, მაშინ რა ანგარიშია აქციებში ფულის დაბანდება. ნუ თუ ყველა ის ამხანაგობა, რომელთაც აქციები შეიძინეს, მდიდარია და სესხი არა სჭირდებათ? ჩვენ არა გვჯერა, რადგან კარგად გვახსოვს ის პროპაგანდა, რომელსაც ეწეოდნენ ბანკის დამაარსებელნი. იმ პროპაგანდას შეიძლებოდა ბევრი ღარიბი ამხანაგობა დაეშინებია,—ვაი თუ სესხი არ მიეცეს იმათ, ვინც აქციებს არ შეიძენსო. ამისთანა შიშს კი ალაგი არ უნდა ჰქონოდა. მოსკოვის სახალხო ბანკი სააქციო ბანკია, და სააქციო ბანკი იმით განირჩევა საკრედიტო საზოგადოებისაგან, რომ მისი ბატონ-პატრონი მდიდარი ხალხია. ისინი ძვირად თუ სარგებლობენ თავიანთი ბანკის სესხით; ესესხებიან სულ სხვა და სხვა ვაჭარნი და მრეწველნი. აქციების დაგირავებით შეიძლება სესხის აღება ე. წ. სპეციალი მიმდინარე ანგარიშით (онкольный счетъ), მაგრამ ვერც ერთი ბანკი თავის აქციებს ვერ მიიღებს გირაოდ, ეს კანონი სასტიკად აღკრძალულია, მაშინ როდესაც ბანკების აქციებს განუსაზღვრელად მიიღებს.

ამ გვარად თუ წვრილ-კრედიტის და კოოპერატიულ ამხანაგობათ ფული გაუჭირდათ, თავიანთი აქციები სხვა და სხვა ბანკში უნდა დააგირაონ, ვინ იცის, რომელ ბანკში როგორ დააფასებენ ამ აქციებს.

ამის და მიუხედავად, სახალხო ბანკის დამაარსებელნი და მომწყობნი ყოველ ღონეს ღონობენ აქციები წვრილ-კრედიტისა და კოოპერატიულ ამხანაგობათა შორის გაესაღებინათ. უთუოდ შიშობდნენ: ვაი თუ აქციები არ გასაღდეს, და ან თუ გასაღდა მდიდრებშორის, ვაი თუ იმათ ბანკის მიმართულება გამოსცვალონ და კოოპერაციისა და წვრილ-კრედიტს ულალატონო. ამ გვარად სახალხო ბანკს დაბადებითვე ცოტათი სიკოჭლე თანდაყვა.

გერმანიაში წვრილ კრედიტის ამხანაგობათ თავიანთი ცენტრალური ბანკი აქვთ, მაგრამ იქ ეს ბანკი სხვა ნაირათ წარმოიშვა. ბევრი ამხანაგობა ისე გამდიდრდა, რომ გასაბარებელი ფული გაუჩნდა. მაშინ იმათ გადასწყვიტეს თავიანთი ცენტრალი ბანკი დაეარსებიათ, რათა მდიდარ ამხანაგობას საშუალება ჰქონოდა თავისი ფული თავისივე ბანკში შეენახა და იქიდან თავის ღარიბ ამხანაგობას დახმარებოდა. მოსკოვის სახალხო ბანკი კი მდიდარ ამხანაგობათ არ დაუარსებია. რუსეთში ამ გვარი ამხანაგობა, თუ მოიძებნება, ერთობ მცირე რიცხვია. ეს ბანკი დაარსა რამოდენიმე განათლებულმა საზოგადო მოღვაწემ, რომელნიც მონდომილნი იყვნენ რუსეთში კოოპერაცია და წვრილ-კრედიტი გაევრცელებინათ და იმათი ზრდისა და განვითარებისათვის ხელი შეეწყოთ.

ჩვენში ცალკე სააქციო სახალხო ბანკის დაარსება სრულებით საჭირო არ არის, რადგან საზოგადოდ სააქციო ბანკის დაარსება ძნელია, თუ ამ გვარ ბანკს სათავეში რამოდენიმე მდიდარი არ დაუდგა, რომელთაც შეუძლიათ აქციები სავსებით გაინაწილონ ურთი-ერთ შორის და ფული სრულათ შეიტანონ. გარდა ამისა, სააქციო ბანკს დიდი მოგება უნდა, და დიდი მოგებისათვის დიდი ოპერაციებია საჭირო. ჯერ-ჯერობით ამისთანა დიდი ოპერაციები არა სჩანს.

მაგრამ ჩვენი წვრილ-კრედიტისა და კოოპერატიული ამხანაგობათ საჭირო ნაღდი ფულის საშოვათ შეუძლიათ მიმართონ თბილისის სამეურნეო ბანკს და ჩვენი ახალი სამრეწველო და სავაჭრო ბანკს. სამეურნეო ბანკი ვალდებულია ფართეთ გაუხსნას კრედიტი კოოპერაციასა და წვრილ-კრედიტს, თუ მის გამგეობას არ უნდა ტყუილა ატაროს სახელი „სამეურნეო“, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

რაც შეეხება ჩვენი სავაჭრო-სამრეწველო ბანკს მის წესდებაში არ არის ისეთი მუხლი, რომელიც მას უფლებას აძლევდეს კოოპერაციასა და წვრილკრედიტს ხოლო-ვექსილით გაუხსნას კრედიტი, მაგრამ, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ამისთანა მუხლი მოსკოვის სახალხო ბანკსაც არა აქვს. მაშასადამე ჩვენს ბანკსაც შეეძლება კრედიტი გაუხსნას კოოპერაციასა და წვრილ-კრედიტს, მხოლოდ ამ საქმეში ბანკმა უნდა დაიხმაროს წვრილი კრედიტის ინსპექტორები, რომელნიც ამის უარს არ იტყვიან, რადგან ეს იმათი პირდაპირი მოვალეობაა. ოღონდ ბანკს ცოტა სიფრთხილე მართებს კოოპერატიული ამხანაგობასთან. წვრილ კრედიტის ამხანაგობასთან გასესხებულ, ფულის განაღდება უზრუნველ-ყოფილია, რადგან წესდების ძალით ყოფილი წევრი ამხანაგობის წინაშე პასუხის მგებელია თვითოეული წევრის მაგიერ. რაც შეეხება საშუალებას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს სავაჭრო-სამრეწველო ბანკს იმოდენა ფული ექნება, რომ კოოპერაციასა და წვრილ-კრედიტს დახმარება გაუწიოს. რადგან ოპერაციები უზრუნველ-ყოფილია და ბანკისათვის სარგებლოვანი, უეჭველია ბანკი ამას არ დაერიდება.

რაც შეეხება მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების გახსნას, უნდა მოგახსენოთ რომ ძნელად დასაჯერებელი ამბავია. ყოველ შემთხვევაში ეს ასე მალეც არ იქნება და ჩვენი კოოპერატიული და წვრილი კრედიტის ამხანაგობათ ეხლავე მართებთ შეუდგენ კრედიტის გაფართოების საქმეს.

თუ ეს მოხერხდა, მაშინ მოსკოვის ბანკის განყოფილება ჩვენთვის საჭირო არ იქნება.

ზემოთ არის ნათქვამი, რომ სააქციო სახალხო ბანკის დაარსება და მოწყობა ჩვენში ძნელია და არც არის საჭირო,—საქმის მოგვარება და მოხმარება სხვანაირათ შეიძლება. კახეთში წვრილ-კრედიტის ამხანაგობათა კავშირი მოაწყვეს; ამ კავშირს შეუძლია თბილისში ერთი საურთიერთო საკრედიტო საზოგადოება დააარსოს კოოპერაციასა და წვრილი კრედიტისა. ამაზედ შემდეგში უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ.

ერთი მოსაზრებაც: ზოგიერთი ეკონომისტები იმ აზრისა არიან, რომ მსხვილი კაპიტალისტური წარმოება და კოოპერაცია ურთიერთთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში არიან და სწორედ ამიტომ დიდი ბანკები, რომელნიც დიდ წარმოებას ემსახურებიან, აგრე იოლათ კრედიტს არ გაუხსნიან კოოპერაციასა და წვრილ-კრედიტსაო. ეს აზრი სრულს ჭეშმარიტებას არ უნდა წარმოადგენდეს და ცოტა სიმართლეც რომ იყოს შიგ, ამას ჩვენც არ გამოვედავებით, მაგრამა, მაგარი ის არის, რომ ჩვენში მსხვილი წარმოება ჯერ-ჯერობით არ არსებობს და მაშასადამე ანტაგონიზმიც არ იქნება. როცა ანტაგონიზმი თავს იჩენს, მაშინ კოოპერაცია და წვრილი-კრედიტიც სხვაფრივ უშველიან თავს, თუნდ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების დაარსებით.

რაც შეეხება ჩვენს ეკონომიურ დაქვეითებას და ჩვენი საზოგადოების უვიცობას ამ საქმეში, ამისი მიზეზი ბანკის უქონლობაა. ვაჭრობა და მრეწველობა უკრედიტოთ ყოვლად შეუძლებელია; კრედიტი კი ბანკში იშოვება ჩვენ ჩვენი ბანკი არ გვქონდა, და სხვის ბანკებში კი ჩვენთვის კრედიტი სათავდებოთ დახშული იყო აქ გაბატონებული ვაჭრების რეკომენდაციით. სადაც ბანკი და ვაჭრობა-მრეწველობა არ არის, იქ ამ საქმისა და საზოგადოთ ეკონომიკას ცოდნაც არ არის. თუ ჩვენი სავაჭრო და სამრეწველო ბანკი გაიხსნა, მის ფრთის ქვეშ ვაჭრობა-მრეწველობა გაცხოველდება, და თუ დიდი წარმოება ცალკე პირთ ვერ შესძლეს, სააქციო საზოგადოების დაარსება გაჩნდება და გავრცელდება. ამას მოყვება საზოგადოდ ეკონომიურად ქვეყნის აღორძინებაც, და ამას კიდევ კოოპერაციისა და წვრილი-კრედიტის გავრცელება და განვითარება.

ბ. გამსახურდია.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელი ოფიციალი ცნობა მოკლედ გვამცნობს, მდ. სტოხოდზე გერმანელებმა საშინელი საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს. ასეთი ცნობა ყოველთვის წინამორბედია მედგარი იერიშებისა. ამიტომ ადვილი შესაძლებელია გერმანელებმა ჯარი მოიშველიონ და ამ მდინარეს იქით რუსები არას გზით არ გაუშვან. მდ. სტოხოდის ხელში ჩაგდებით რუსეთის მხედრობას გზა ეხსნება არა მარტო კოველზე, რომელსაც, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ მთელ ბარანოვიჩის ბრძოლის ხაზსაც განსაცდელში ჩააგდებს. გარდა ამისა კოლედინის არმიაც წინ ვერ წავა, ფართოთ ვერ აწარმოებს ოპერაციას, მასთანაც გენ. სახაროვის ჯარის მარჯვენა ფრთას გზას ვერ გაუკაფავს, თუ მდ. სტოხოდზე გერმანელები იქნებიან გამაგრებულნი. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ გერმანელები მეტად მხნედ ეკიდებიან ამ სიმაგრეებს.

გალიციაში ავსტრიელები ქ. ბროდს მძიმე არტილერიას უშენენ. სჩანს აქ მათ განზრახული აქვთ რუსებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ და წინ აღარ გაუშვან.

კავკასიის ბრძოლის ველზე რუსეთის ჯარის მარჯვენა ფრთა ერძინჯანის მიდამოებში წინსვლას განაგრძობს; სამაგიეროთ ოსმალები მოსულის მიმართულებით უტევენ.

დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლამ ყველგან პოზიციური ხასიათი მიიღო. საერთო შეტევა ძალიან მალე დასცხრა და მაგრე რიგად საგრძნობელი შედეგი ვერ მოიტანა. ამ შეტევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ აღმოსავლეთ ბრძოლის ველისათვის, რადგანაც გერმანელებს შეეძლება მოუსპეს ჯარები გადმოეყვანათ რუსეთის წინააღმდეგ.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 18 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე რუსის ჯარი კვლავ წინ იწევს. ზოგ ადგილებში მოწინააღმდეგე ძლიერ საარტილერიო ბრძოლას განაგრძობს. დღევანდელ ბრძოლებში დაიჭირა პოლკის უმფროსი გიორგის კავალერი პოლკოვნიკი კანტემოვი.

ბროდის მიმართულებით მტერი ქალაქ ბროდს და მდ. ბოლდუროვკას ზარბაზნებს ესვრის. მთელ ასპარეზზე მუდამდღე მკაცრი ბრძოლებია. მტერი უკანასკნელ ძალღონეს იკრებს, რომ რუსის ჯარის წინსვლა შეაჩეროს. ამისათვის მას ყოველ მხრიდან ახალ-ახალი მაშველი ჯარი მოსდის.

ბარანოვიჩის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი გაცხოველებულ სროლაა. სად. ზამირიეს და აზიასლავს მტრის მფრინავებმა ყუმბარები ესროლეს. მდ. სტოხოდზე რუსის ჯარი ბრძოლით წინ იწევს. აქ რუსებმა ტყვეთა შორის მთელი 31 გრენადერის პოლკი წამოიყვანეს. ამასთანავე ტყვედ ჩაუვარდათ ხელში ამ პოლკის უმფროსი და მთელი შტაბი. მდ. სტოხოდის სხვა მიდამოებში რუსებმა წამოიყვანეს 21 ოფიცერი და 914 ჯარისკაცი. კოველის მიმართულებით ბრძოლა არ შეწყვეტილა. ბროდის მხარეს რუსის ჯარი ფეხდაფეხ მისდევს. აქ რუსებმა მდ. გრადერკას და სერეტს მიაღწიეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ერზინჯანის მიდამოებში რუსის ჯარმა კვლავ წინ წაიწია. ოსმალების შეტევა მოსულის მიმართულებით დივაგიაეერსის მიდამოებში რუსის ჯარმა მოიგერია.

**პარიზი**, 17 მკათათვე. სომის ჩრდილოეთით „139“ მაღლობის შუა, გარდეკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით, და სომას შუა, რამდენჯერმე მკაცრი ბრძოლა მოხდა. დილით ჩვენმა ჯარმა შეუტია და მტრის რამდენიმე თხრილი 300—800 მეტრის მანძილზე ხელთ იგდო და სოფ. მორეპამდე მიაღწია ჩვენ ტყე გვიჭირავს სადგურ ენის ჩრდილოეთით, ქვის მაღაროები ამ ტყის ჩრდილოეთით და მონაკიუს ფერმა, მონაკიუს ფერმის მიდამოებში დღისით გერმანელებმა მკაცრი კონტრ-იერიში მოიტანეს, სადაც ბრძოლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. მტრის ძალა ჩვენ ვძლიეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. ჩვენ დაჭერილი ადგილები შევინარჩუნეთ და 200 ტყვე წამოვიყვანეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელთა იერიში მოვიგერიეთ, ტიომონის სიმაგრის დასავლეთით. ფლერი—ვო—შაპიტრის მიდამოებში მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი**, 18 მკათათვე. სომის ჩრდილოეთით საღამოთი და ღამე გერმანელებმა განმეორებითი კონტრ-იერიში მიიტანეს ენის ტყეზე და მონაკიუს ფერმაზე. ბრძოლამ ფერმასთან მკაცრი ხასიათი მიიღო. გერმანელებმა ცოტა ხნით ხელში იგდეს ფერმა, მაგრამ ისევ მალე დაიბრუნეს. ენის ტყეში გერმანელთა წინააღმდეგ ფრანგების ზარბაზნები ამოქმედდნენ და მტერს დიდი ზიანი მიაყენეს. მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელთა იერიში „304“ მაღლობის ჩრდილო დასავლეთით სროლით მოვიგერიეთ. მარჯვენა ნაპირზე ფლერის სამხრეთ-დასავლეთით ფრანგებმა წინ წავიწი-

# ისტორიული ცნობები

**მეფე გიორგი VII-ს სიგელი.**

დიდი მამულის პატრონთ შეძენილი ჰქონიათ მთა და ველი ან ნასყიდობით ან კიდევ „ნასისხლად“ მიცემული ჰქონიათ.

მაგრამ მომეტებულ წილს თავადაზნაურთ, რომელთაც მეფეების კარზედ უმსახურნიათ და ან რაიმე დამსახურება მიუძღოდათ სამშობლოს წინაშე, ბოძებული ჰქონიათ მეფეებისგან სოფლები და მამული.

აი, სხვათა შორის რას ამბობს ერთი სიგელი, ბოძებული მეფე გიორგი VII 1402 წელსა, ამ დოკუმენტის დედანი არა სჩანს, მხოლოდ ისიც რუსულათაა ნათარგმნი და ინახება დეპუტატთა საკრებულოში, ფალავანდიანთ საგვარეულო წიგნში, ის დედანი კი ყოფილმა გუბერნატორმა თბილისისამ ფალავანდიშვილმა გაიტანა, რომ დაემტკიცებინა თავისი გვარი თავადათ,—„მეღვინეთ უხუცესი დაგვეჯნა, ჩვენც შეგიწყალეთ და დაგიწერეთ სამკვიდროთა დასათავებელი სიგელი ესე და გიბოძეთ **ჩინაშიდუნთა** მთით და ბარით, სახნავით და უხნავით, შესავლით და გასავლით, ჭალა-სასარით, წყლით და საწისქვილოთი, სარწყავით და ურწყავით, ყოვლისა მათისა ქონებითა და ყოვლისა მისის სამართლიანის სამზღვრითა. გქონდესთ და გაბედნიეროთ თქვენ ფალავანდიშვილებს: ფალავანდს, მეღვინეთ უხუცესს იოანეს, ვარდანს, კირკიშას, შვილსა თქვენსა და სახლისა მომავალთა თქვენისათა. და გიწყალობეთ ესე სიგელი ყოვლისა მოუსარჩლელად ადამიანისა კაცისაგან და გვიბრძანებია შლა ამა სიგელისა, ნუ ვინ იკადრებთ. და თქვენ მეფენო და დედოფალნო, კარსა ჩვენსა წარჩინებულნო, დიდებულნო და დაბალნო და თქვენ ხარჯთ მკრეფელნო კულუხისა და პურისა და სხვანო ყოველნო კარისა ჩვენისა მოხელენო დაურთეთ თქვენი მტკიცება და ნუ ვინ უარჰყოფთ ჩვენს ბრძანებასა და ამა სიგელისა, ნურცა ნუ ვინ დააკლებთ არცა დაი, არცა ცოტაი და აღმოუჩინეთ შეწევნაი. და თქვენ ქართლისა და აფხაზის ქათალიკოზნო, წმინდანნო მღვდელთმთავარნო ყოვლისა ულაპარაკოთ დაამტკიცეთ ესე ჩვენგან ბოძებული სიგელი.—დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ინდიკტიონის ჩვენისა მეფობისა 26-ს ქნს პთ (1401) ჩვენი კარს-მდივნის ხელით დაიწერა მახარობელი თავთუბიტიძე. „ვამტკიცებ მეფე გიორგი მონა ღვთისა“.

„კონსტანტინე ბატონიშვილი ვამტკიცებ ნებისა ხვთისათა“.

„კირილეისონ! ამ ხვთისგან ნაკურთხმა მეფეთ-მეფემ გიორგიმ თავის ერთგულ ყმებს ფალავანდიშვილებს: ფალავანდის, მეღვინეთ უხუცესს იოანეს და ვარდანს და მათს შვილებს უწყალობა საშვილი-შვილოდ მამული დუნთა, ჩვენც ქათალიკოზი ქართლისა ელიოზი კანონისაებრ ვამტკიცებთ ამა სიგელსა“.

„კირილეისონ! ამ ხვთისგან ნაკურთხმა მეფეთ-მეფემ გიორგიმ თავის ერთგულს ფალავანისშვილებს: ფალავანდს, მეღვინეთ-უხუცესს იოანეს და შვილსა მისსა კირკიშს უწყალობა სოფელი დუნთა, კანონისაებრ ვამტკიცებთ ჩვენ ქართლსა გიორგი არქიეპისკოპოზი“.

„კირილეისონ! ამ ხვთისგან ნაკურთხმა მეფეთ-მეფემ გიორგიმ უწყალობა თავისი ერთგულს ფალავანდისშვილებს: ფალავანდს, მეღვინეთ-უხუცესს იოანეს, ვარდანს და შვილებს კირკის და სიმონსა სოფელი დუნთა, ჩვენ მონა ხვთისა მროველი იოანე წესისაებრ ვამტკიცებ, წყეულ იყოს, ვინცა შეშლის და ვინცა მტკიცეთ იცავს კურთხეულ არს“.

„კირილეისონ! ამ ხვთისგან ნაკურთხმა მეფეთ-მეფემ გიორგიმ უწყალობა თავის ერთგულ ყმებს ფალავანდისშვილებს: ფალავანდს, მეღვინეთ-უხუცესს იოანეს, ვარდანს და შვილსა კირკიშს საშვილი-შვილოდ მამული დუნთა და ჩვენც ქართლის არქიეპისკოპოზი პანთელი სიგელსა ამასა წესისაებრ ვამტკიცებთ. მტკიცებელნი ამა სიგელსა კურთხეულ არიან ღთისაგან“.

დღეს ის მამული თ-დ ფალავანდიშვილების მფლობელობის ქვეშ აღარ არს, მეთვრამეტე საუკუნეში თ-დ წერეთლები დაეპატრონენ, მხოლოთ მეცხრამეტე საუკუნეში ივანე ბერიძე ფალავანდისშვილს ცოტა ნაჭრები კიდევ ეჭირა ამ ადგილებში და ისიც გლეხებს შეასყიდა.

უნდა მოვიხსენიოთ ქართლის ცხოვრებიდან გიორგი VII მეფის შესახებ —„ხოლო მეფემან ბაგრატ კ-დ სამეფოჲ თჳსი განაგებდა კეთილად და მცირე ხანსა შინა მიიცვალა მეფე ბაგრატ სარწმუნოებითა და სინანულითა: და დაჯდა მის წინ მეფედ გიორგი, ძე მისი: ქ-ს აქეთ:

„ამავე ჟამსა მიიცვალა ყ-დ სანატრელი კ-ზი ელიოზ: და დაჯდა მის წილ კ-ზად გიორგი“. ქ. ც. გვ. 871.

ამ ზემოხსენებული სიგელიდან კი სჩანს, რომ ქათალიკოზი ელიოზი ისევ ცოცხალი ყოფილა, ესე იგი, გიორგი მეფე ტახტზედ ავიდა 1376 წელსა და ამ სიგელზედ კი ქათალიკოზი ხელს აწერს 1402 წელსა.

**სოფ. ავნევი და მისი ს.ქართველოს მსაჯულთ კრებულის გადაწყვეტილება.**

ძველად თუ რომ მამულს იძენდნენ, ისეც თავის შედეგი ჰქონდა. იმ დროშიაც მამულზედ იყო დავიდარაბა და მათ შორის ატეხილ დავას სამართალი სწყვეტდა.

ჩვენ დროს კი ყველამ კარგათ უწყის ეხლანდელი სამართლის ვითარება, ყველას მძიმეთ აწევს დაუსრულებელ მიწად-მფლობელობის დავები და ყველა გრძნობს შეუსაბამო სამართლის მიმდინარეობას.

სანიმუშოთ მოვიყვან სოფ. ავნევის დავას. ამ 18 წლის წინად, როდესაც „საფალავანდოში“ მიწის დაყოფა დაიწყო, მთელი ავნევის მამული 1800 დესეტინა „საფალავანდოში“ შეიტანეს—როგორც საფალავანდო მამულის ნაწილი და დაადგინეს მიწის მზომელთან ოქმი, სადაც მოიხსენიეს, ვისაც გაყიდული ჰქონდეს, წილში ჩაეთვალოს.

სოფ. ავნევის სამი წილი მამულისა გაუყიდნიათ ფალავანდიშვილებს და მათ მონაწილეებს თ-დ მაჩაბლებზედ და ერისთავზედ ერთის დოკუმენტით 1743 წლის თარიღით, ეს დოკუმენტი ზევით მოვიხსენიეთ და მეორე დოკუმენტი—1750 წ.

ეს სამი წილი ავნევის მამულისა საკუთრივ თ-დ მაჩაბლებზედ და ერისთავზედ დაიმისნა უდავოდ. მხოლოთ მეოთხე წილი თ-დ ფალავანდიშვილებს ფეშანგიანთ ოჯახის მფლობელობის ქვეშ არის.

ამ მეოთხე წილში აცხადებენ დავას ის ფალავანდიშვილები და მათი მონაწილენი, რომლებსაც უკვე თავიანთი მფლობელობა დაუკარგავთ.

წინააღმდეგ თავიანთი დადგენილი ოქმისა ამ წილის მამულისა თავიანთ გაყიდულათ არა სთვლიან და ეს დავა დღევანდლამდის მიმდინარეობს.

დღეს ამ ავნევის დავას ბოლო არ უჩანს, სულ უბრალო საქმე კია. სასამართლოც აჭიანურებს, ინიშნება რამდენჯერმე გასარჩევად და სხვა და სხვა მიზეზებისა გამო საქმე ხელ-ახლად სხვა დროისთვის იდება.

ეხლანდელი სამართალი ქოთანს მიაგავს, მექოთნე ყურს, საითაც უნდა, იქით გაუკეთებს და ეხლანდელი მოსამართლეებიც სამართალს, საითაც უნდათ, იქითკენ უზმენ თავსა.

სწორეთ 13 წლის წინად ამ ავნევის მამულზედ დავა ყოფილა, **საქართველოს მსაჯულთ შეკრებილობას** განაჩენიც გამოუტანიათ. საჭიროა ამ განაჩენის სრულად აქ მოყვანა, რათა გავითვალისწინოთ მისი ვითარება, მით უფრო ისტორიული მნიშვნელობაც აქვს. თუმცა საკმაოდ გძელია, მაგრამ საინტერესოდ ჩაითვლება მისი წაკითხვა.

**განჩინება.**

ამ წარჩინების თავზედ წარწერილი აქვს საკუთრივ მეფე ერეკლის ხელით და მისი ბეჭედიც აზის:

„ქ. ჩვენ მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი ამ განჩინებას ვამტკიცებთ. ეშკილაბაშო, დიმიტრი, ეს ასე აღასრულე, როგორც მსაჯულთ გაუჩენიათ. აღიწერა მაისის 31 ქ-ნს უჲპ 1781 წ. (ბ-ჰ)“

**სახივარი.**

„ქ. ფალავანდისშვილის ფეშანგის შვილები ბერი და იაკობ უჩიოდნენ მაჩაბელს იესესა და გოგიასა და ბარძიმის შვილებს: სანატრელმა ცხებულმა მეფემ თეიმურაზ რომ მეფეს ალექსანდრეს ჯარი მიაშველა, მაშინ მაჩაბელი იესე, პაპაჩვენი ფეშანგი, ხერხეულიძე ბეჟან, ავალიშვილი ბერი და ზურაბ ოსმანთ დაიჭირეს და სახსარსა სთხოვდნენ.

„პაპაჩვენმა ფეშანგიმ მამაჩემი რევაზ დაიბარა, თავის მაგიერ გირაოდ მისცა. იესე მაჩაბელმა თავისი შვილი თეიფანე მისცა გირაოდ, თვითონ წამოვიდა და ბეჟან ხერხეულიძე თან წამოიყვანა. ბერი ავალიშვილი გამოიპარა და ზურაბ თავი დაიხსნა. მამაჩემი რევაზ იქივ ბორკილში ება და მასუკან გამოიპარა, და სანამდის გამოიპარებოდა, პაპაჩვენმა ფეშანგიმ წიგნიც მისწერა იესე მაჩაბელს, პირადაც უთხრა: შეძლებული კაცი ხარ, ჩემი შვილიც გ. მოიხსენ და მამულს მოგცემო. ქართლშიც მოკრიფა იმათი სახსარი და მაჩაბელს მიებარათ. იმერეთის მეფემ ალექსანდრემაც გამოუგზავნა სახსარი, ზოგი საქონელი ზოგი ურიები, რადგანაც მისის მიზეზით დატყვევდნენ. და მამაჩემი რევაზ რომ გამოიპარა, იმაში არც არა გასულა, არცა თავდები ყოფილა, თორემ თუ თავდები იყო, რატომ თან არ წამოიყვანა, როგორც ბეჟან ხერხეულიძე და ან ბორკილში რაღათ ებაო. მერმე მძლავრებად პაპაჩვენს ფეშანგის ძალი დაატანა და ავნევს სიხტურაშვილი ნასყიდობით გამორთვაო, თუ მართებული ნასყიდობა იყო, რატომ ან პაპის ჩვენის ხელი არა სწერია, ან ბეჭედი არ აზისო, ან მამის ჩვენისა ზაალისა და რევაზისა ან ხელი, ან აქა მიწერილი, ან ბეჭედიო.—

**მაჩაბლების პასუხი.**

„მაჩაბლები უპასუხებდნენ: იესე მაჩაბელმა თეთრი ზოგი მიაბარა და ზოგი დარჩაო, რევაზ საც თავდები იყო და ბეჟ ნისცაო და დანარჩომის თეთრისათვის თეიფანე გირაოდ მისცაო. ჩვენი გირაო რომ ხელთ ეჭირათ ოსმანთა, მამაშენს აღარ გაუფრთხილდენ და გამოიპარაო, მაგრამ იმის სახსარი ჩვენ გამოგვართვესო, სანამდის მთლად არ გამოგვართვეს ვისაც თავდები ვიყავით, მანამდის თეიფანე არ გამოუშვესო. მერმე ფეშანგი შემეხვეწა: ეს გლეხები ნასყიდობით მისცა თავენთის მამულით სიგელი დააწერინა, მოაბარა. ოცდათორმეტი წელიწადია, ჩვენ გვიჭირავს, ფეშანგი დიდხანს ცოცხალი იყო არ გვედავაო, მამათქვენები არ გვედავნენ, ახლა თქვენ გვედავებით და ნება სამართალის არისო.

Legatus.

(დასასრული იქნება)

ეთ და 20 ტყვე წამოვიყვანეთ. ვოშაპიტრის დასავლეთ მიდამოებში გერმანელებმა ხელის ყუმბარებით მოქმედება მოისურვეს, მაგრამ მარცხით დამთავრდა.

**ლონდონი**, 17 მკათათვე. ოფიციალი. საფრანგეთის ასპარეზი. სომმის მიდამოებში საარტილერიო ბრძოლისა და უმნიშვნელო შეტაკების გარდა ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა. დანარჩენ ადგილებში—ჩვეულებრივი ბრძოლებია. გერმანელებმა ნევილ-სენვაასდას მახლობლად ნაღმი ააფეთქეს, მაგრამ არავითარი ზარალი არ მოუყენებიათ. ჩვენ გერმანელების 3 მფრინავი ძირს ჩამოვაგდეთ.

დღეს დილით, ჩვენ ფრანგებთან ერთად, დელვილის ტყიდან მდ. სომმის წინ წავიწიეთ. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენ აგრეთვე წინ წავიწიეთ ტრონის ტყის და მალტსორნის ფერმის აღმოსავლეთით. აქ მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ; ტყვედ წამოვიყვანეთ 250 ჯარის კაცი. პოზიერის მიდამოებში ჩვენი ჯარი წარსულ ბრძოლის დროს აღებულ თხრილებს ამაგრებს. გასულ კვირის განმავლობაში ჩვენ მტრის 3 მფრინავი დავღუპეთ.

**რომი**, 17 მკათათვე. ლაგარონის ველზე ორთავ მხარემ საარტილერიო სროლა გააჩაღა. ტანეთას მაღლობთან რკინის გზის სადგურს ზარმაზნები დაუშინეთ. ზარბაზნის სროლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მონტე-ჩიმონეს ჩრდილოეთით იერიში მიიტანა ტყით მოფენილ ადგილებში მკაცრი ბრძოლა გაჩაღდა. ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ტოკანოს მიდამოებში ალპიის ჯარის ნაწილმა კორჩელას ტყე დაიჭირა და ტრავენანცოს ველისაკენ წაიწია. დრავის ველზე ზარბაზნმა რკინის გზის სადგურს სილუანს ყუმბარები დაუშინა.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**ინგლისელების გამარჯვება პოზიერში.**

უცხოეთის სამხედრო მიმომხილველნი დიდს მნიშვნელობას აძლევენ ინგლისელების გამარჯვებას პოზიერ ლონგევალის ბრძოლის ხაზზე. გერმანელებს აქ მხოლოდ ერთი სიმაღლე-ტიენკალი-ღა უჭირავთ ხელში. ამ სიმაღლის აღებით გერმანელ ჯარს დიდი საფრთხე მოელის. ამ უკანასკნელ დღეებში ინგლისელების სარდალნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ეს სიმაღლეც როგორმე ხელში ჩაიგდონ.

მდ. სომმის მიდამოებში ინგლისელების დიდმა გამარჯვებამ ფრანგებს ვერდენის ციხესთან მოქმედება გაუადვილეს, რადგან გერმანელებმა აქედან პოზიერის ბრძოლის ხაზზე მრავალი ჯარი გადაიყვანეს.

ფრანგი სამხედრო მიმომხილველნი დიდის აღტაცებით ეგებებიან ინგლისელების ამ დიდს გამარჯვებას.

**გერმანულ გაზეთის აზრი.**

გერმანეთის იმპერიის კანცლერის ოფიციოზი ასე ასწერს გერმანეთის ახლანდელ მდგომარეობას:

„გერმანეთი ეხლა ალყა-შემორტყმულ ციხეს წააგავს. ჩიტომ ომის დამთავრება და სისხლის ღვრის შეწყვეტა დამყარებულია იმათ ნებაზე, ვინც ამ ციხეს გარს არტყია. ომის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ საფრანგეთის ხალხს დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიან. ჩვენ ახლა დიდის პატივისცემით ვეპყრობით ფრანგების თავგანწირვას და მათს სიყვარულს სამშობლოისადმი. ყველა ამან ჩვენ, გერმანელები, დაგვარწმუნა, რომ ჩვენთვის ეხლა უსაჭიროესია, უფრო მეტი ენერგია და სულის სიმტკიცე გამოვიჩინოთო“.

**ოსმალების ჯარი გალიციაში.**

ვოლფის სააგენტოს ცნობით, ამ მოკლე ხანში რუსეთის ასპარეზზე, გალიციაში, მოელიან ოსმალოა დიდს მაშველ ჯარს. ეს უკანასკნელი გარემოება ნათლად ამტკიცებსო, ამბობს სააგენტოს კორესპონდენტი, რომ ოსმალეთის სამხედრო ძალა არც ისე სუსტია, როგორც მოკავშირენი ჰფიქრობენ და რომ გერმანეთის და ოსმალეთის კავშირი მტკიცე და შეურყეველი არისო“-ო.

**მდგომარეობა ჰუნგრეთში.**

რუსის ჯარის გამარჯვებამ და წინ სვლამ ჰუნგრეთში დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ჰუნგრეთის ოპოზიციის ბელადნი მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ვენაში წავიდნენ. ბელადთა შორის იმყოფება გრაფი ანდრიაში, რომელიც, როგორც ხმები დადის, გარეშე საქმეთა მინისტრად ინიშნება.

**რუმინეთი.**

საზაფხულოდ მეფე სინაიში იმყოფებოდა. სასახლის უმფროსმა გამოაცხადა, იგი სადარბაზოდ არავის არ მიიღებსო. მეფე ეხლა ბუქარესტში დაბრუნდა, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამავე დროს საჩქაროდ მოვიდა ბრატიანუ და მეფე ინახულა. ბუქარესტში მოიყარეს თავი თითქმის ყველა მინისტრებმა, სხვათა შორის გერმანეთის ელჩიც ჩამოვიდა. საზოგადო აზრი ისეთია, რომ დღემდე გამოურკვეველი მდგომარეობა, მოკავშირეთა სასარგებლოდ თავდება. ასე თუ ისე რუმინეთს არ შეუძლიან ძველ პირობებში დარჩენა, მაშასადამე მისი ნეიტრალობა უზრუნველყოფილი აღარ არის.

კაბინეტის ერთ-ერთ წევრს განუცხადებია: მოლაპარაკება ისეთის სისწრაფით მიდის, რომ შეუძლებელია ვიცოდეთ, თუ რომელი ელჩი მოაწერს ხელს პირობებს, ძველი თუ ახლად დანიშნული. ამასთანავე გერმანეთის მომხრე სამინისტრო: შინაურ საქმეთა მინისტრი მოხტცუკი, გარეშე საქმეთა პორუმბარო და იუსტიციისა ანტონესკუ მალე თავს დაანებებენ. შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილს კონსტანტინესკუ დაიჭერს.

**გერმანეთ-რუმინეთის შეთანხმება.**

რუმინეთის გამოურკვეველმა მდგომარეობამ ბერლინი საფიქრებელში ჩააგდო.

ბუქარესტის კორესპონდენტი „ბერლინერ ტაგებლატს“ ატყობინებს: მეფე ფერდინანდმა სინაიში დასვენება შესწყვიტა და ბუქარესტს დაბრუნდა. აქვე დაბრუნდნენ ავსტრიელთა და გერმანელთა ელჩები: გრაფი ჩერნინა და ბუშე. მათ ინახულეს ბრატიანუ. რუმინეთის პრემიერის საქციელი დღემდე გამოურკვეველია და არავინ იცის თუ იგი რა გზას დაადგება.

**ავსტრიელები რუმინეთის საზღვარზე.**

ლონდონიდან იტყობინებიან: ასი ათასი ავსტრიელი, რომელიც საბერძნეთში იმყოფებოდა გენ. კევეშის სარდლობით გაიგზავნა რუმინეთის საზღვარზე. ეს ძალა დარნა-ვარტის მიდამოებში სდგას, ხოლო ნაწილი ამ ჯარისა კარპატებისაკენ გადაიყვანეს. ამასთანავე ავსტრია-ჰუნგრელების ჯარის უფროსებმა სხვა და სხვა ზომებს მიჰმართეს, სხვათა შორის საზღვრები შეჰკრეს. აგრეთვე შეჩერებულია მიმოსვლა ბელგრადსა და საბერძნეთის სხვა დაპყრობილ ადგილების შორის.

**გერმანელთა თარეში შვეციის სამხრეთ ნაპირებთან.**

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: შვეციის სამხრეთ წყლებში, გერმანელები ისე გრძნობენ თავს როგორც საკუთარ ადგილებში, მალმესთან და ერეზუნდის წყლებში კი გერმანელებმა ნამდვილი საზღვაო სადგურები მოაწყეს.

შვედური გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანელთა ნაღმოსნები ხშირად ნახევარ ვერსის მანძილზე იმყოფებიან ხოლმე შვეციის სამხრეთ ნაპირებთან და ხშირადაც ინგლისელთა გემებს ჩხრეკავენ.

**მდგომარეობა რიგაში.**

რიგის მახლობელ მიდამოებში ბრძოლა არა სწყდება. მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა ცოტა მისუსტდა. წვიმიან დღეების შემდეგ მშვენიერი ამინდი დაიჭირა და ქალაქის ბაღებში ხალხი ბლომად დასეირნობს. ძნელად წარმოიდგენს თურმე ადამიანი, რომ ამ ქალაქს მტრის ალყა არტყია, მაგრამ ეს შედარებითი სიწყნარე იმის მომასწავებელი უნდა იყვეს, რომ გერმანელები ამ მიდამოებში კიდევ უყრიან თავს ახალს ძალებს და შემდეგ უფრო მეტის სიმკაცრით და სიძლიერით ჰსურთ ეკვეთონ მოწინააღმდეგეს.

**ბულგარეთი.**

ბულგარელებმა დიდის სისწრაფით გაამაგრეს მდ. დუნაის ნაპირები. ეხლა მათ დიდძალი ჯარი გადაჰყავთ სამხრეთისაკენ, სადაც როგორც სჩანს ამ მოკლე ხანში დიდს ბრძოლას ელოდებიან. ბუქარესტის დიპლომატიურ წრეებში ხმები დადის, რომ ბულგარეთი ამ ჟამად მძიმე პოლიტიკურ მომენტს განიცდის. აღიშნავენ რამდენიმე შემთხვევას ბულგარეთის ჯარის აჯანყებისას. დაჯერებით ირწმუნებიან, რომ რადოსლავოვს მეფე ფერდინანდისათვის მიუმართავს თხოვნით, რომელშიაც იგი მეფეს ურჩევს მინისტრთა ახალი საბჭო შეადგინოს.

**ჩინეთის მდგომარეობა.**

იუანშიკაის სიკვდილმა ეტყობა მშვიდობიანობა ვერ დაამყარა ჩინეთში. სხვა და სხვა პროვინციებში ისევ სასტიკი ბრძოლა სწარმოებს მეამბოხეთა და მთავრობის შორის. სამხრეთ ჩინეთის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ სიკვდილით იქმნენ დასჯილნი ყველა ის პირნი, ვინც იუანშიკაის ემხრობოდნენ და მას ხელს უწყობდნენო.

**ავსტრია უნგრეთისა და გერმანეთის ახალი ხელშეკრულობა.**

ავსტრია-უნგრეთმა და გერმანეთმა ახალი ხელშეკრულობა დასდეს 25 წლის ვადით. ამ ხელშეკრულობით ამ ორი სახელმწიფოს საგარეო და სამხედრო მმართველობა გაერთიანებულია, ხოლო ეკონომიური საკითხები აქ არ არის გამორკვეული, თუმცა მოხსენებულია, რომ ამ საკითხში ორივე სახელმწიფო თანხმობით იმოქმედებენ უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში. საამისოდ საგანგებო საბჭოც არის დაარსებული იმავე სახელმწიფოს მიერ არჩეული.

# დეპეშები

**რუსეთის ასპარეზი.** კოველის მიმართულებით მკაცრი ბრძოლა გრძელდება. გერმანელებმა მდინარე სტოხოდზე ზოგ ადგილებში საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს.

—

ბროდის მიმართულებით გერმანელები ქ. ბროდს მძიმე ზარბაზანს უშენენ.

—

**კავკასიის ასპარეზი.** ერზინჯანის მიდამოებში რუსები წინ იწევენ, ხოლო მოსულის მიმართულებით რუსებმა ოსმალთა შეტევა შეაჩერეს.

—

**საფრანგეთის ასპარეზი.** სომის ჩრდილოეთით ზოგან სასტიკი ბრძოლაა. ენის ტყესთან და მონაკიუს ფერმასთან ბრძოლაა. გერმანელებმა ფერმა ხელთ იგდეს, მაგრამ ფრანგებმა მალე უკან დაიბრუნეს.

—

„რეჩის“ ცნობით კოველთან ავსტრიის ჯარის მაგიერ გერმანელები ჩააყენეს. გერმანელებმა სიმაგრეები მძიმე არტილერიით გაამაგრეს.

—

ჩერნოვიცში დიდი გაჭირვებაა. ინტელიგენცია, განსაკუთრებით ებრაელებისა, ავსტრიის ჯარს თან გაჰყვა, დარჩნენ მხოლოდ რუსები, რომელნიც რუსის ჯარს გულლიათ დაჰხვდნენ.

—

„ბირჟ. ვედომოსტის“ აზრის მოწინააღმდეგეს ძალა არ შესწევს ერთსა და იმავე დროს სამი ადგილი დაიცვას: კოველისა, ვლადიმირ-ვოლინისა და ლვოვისა. ერთ-ერთი უნდა დასთმოს, მეორეების შესანარჩუნებლად. ამ ჟამად რუსის ჯარი კოველის და ლვოვის რაიონს აწვება. გერმანელებისათვის უფრო საყურადღებოა კოველის რაიონი, ხოლო ავსტრიელებისათვის—ლვოვისა. გერმანელთა და ავსტრიელთა შორის მოლაპარაკებაა, თუ რომელი რაიონი დაიცვან.

—

მოკავშირეთა იერიში თანდათან ძლიერდება. დეპეშების ცნობით ჯარი იმ ადგილებშიაც ამოძრავდა, სადაც ამდენი ხანი მიუჩქებული იყო. მთავარი ყურადღება რუსეთის ასპარეზზეა მოპყრობილი.

—

საბერძნეთმა საფრანგეთის მთავრობისაგან 20 მილიონი მარკა ისესხა.

—

სპარსეთის შტაბი იტყობინება: ნური ბეგის ჯარმა იტალიელების წინააღმდეგ მკაცრი ბრძოლა დაიწყოო.

—

ცნობილ ანდრონიკაშვილის ორგანო „გოლოს როხიაში“ ნათქვამია: „შესაძლოა ომი მოულოდნელი სისწრაფით დასრულდესო“.

—

ბერლინიდან იტყობინებიან: თუ რუმინეთი ნებით, ან იძულებით მოკავშირეებს მიემხრობა, მეფე ფერდინანდი ჰოჰენცოლერნთა გვარიდან გამორიცხულ იქნება და ტახტსაც დაჰკარგავსო.

—

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: იტალიის გაზეთები მოითხოვენ იტალიამ გერმანეთს ომი გამოუცხადოსო.

—

ათინიდან ირწმუნებიან: რუმინეთი ნეიტრალს არას დროს არ დაარღვევსო.

—

ვოლფის სააგენტო იუწყება: ოსმალეთის ბედი კავკასიის, ან მესოპოტამიის ასპარეზზე კი არ გ დაწყდება, არამედ ევროპისაზეო.

—

შუმსკი სწერს: დასავლეთ ფრონტზე ბრძოლის მთელი სიმძიმე საფრანგეთის ჯარს დააწვაო.

—

საფრანგეთის ოფიცრის განცხადებით მსოფლიო ომის ბედი არა დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის ფრონტზე გადასწყდებაო.

—

ავსტრიის საზოგადოება გაფაციცებით თვალყურს ადევნებს რუმინეთის მოქმედებას და არ იციან, თუ რუმინეთი რა გზას დაადგება.

ვენის გაზეთი ამბობს: ამ ხანად არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, თუ რა პოზიციას დაადგება რუმინეთიო. ამავე გაზეთის რწმუნებით, რუმინეთის მდგომარეობას მხოლოდ აღმოსავლეთის ასპარეზზე ბრძოლის მსვლელობა გამოარკვევსო.

—

გერმანულმა გაზეთებმა თითქმის ერთხმად დაიწყეს წერა კუროპატკინის ჯარის მოქმედების შესახებ და აღიარებენ, რომ ასეთი საშინელი სროლა აღმოსავლეთის ასპარეზზე ჯერ არ გაგონილაო.

—

მესოპოტამიაში აუტანელ სიცხეების გამო ბრძოლა შეწყდა.

—

ზორნოვოში ბულგარეთის და საბერძნეთის ჟანდარმებს შეტაკება მოუხდათ.

—

მაკედონიის ასპარეზზე გერმანელი გენერალი ჰალვიცი მივიდა, რომლისთვისაც გერმანეთის მთავარ შტაბს დაუვალებია გერმანელების და ბულგარელების იერიშების განახლება.

—

ინგლისელების აღებულ პოზიერის და გილემონის ბრძოლის ხაზზე კვლავ მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. ინგლისელებს იერიში-იერიშებზე მოაქვთ, მაგრამ გერმანელები მედგრად უხვდებიან, რადგან იციან თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დაჭერილ პოზიციებს. გერმანელები სცდილობენ საწინააღმდეგო იერიშებით ინგლისელთა მოძრაობა შეაჩერონ, მაგრამ ვერაფერს ხდებიან, თუმცა გერმანელების შტაბი იუწყება, რომ ბრანდებურგის ჯარმა ინგლისელებზე გაიმარჯვაო.

—

როგორც კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, ავსტრია-ჰუნგრეთის საზღვარი დაუკეტიათ: ცნობები მხოლოდ შვეიცარიის საზღვრიდან მოდის. ამბობენ, საზღვარის დაკეტვა არა მარტო ჯარის გადაყვან-გადმოყვანამ გამოიწვია, არამედ იმ მოძრაობამაც, რომელიც ჰუნგრეთში ხდებო.

—

ბერლინიდან იტყობინებიან: ვილჰელმი მთავარ შტაბის უფროს ფელდმარშალ ჰინდენბურგთან ერთად დასავლეთის ასპარეზიდან აღმოსავლეთისაზე გადმოვიდაო. გერმანელები ამ გარემოებას იმით ჰხსნიან, რომ სომაზე ბრძოლის საფრთხემ გაიარაო.

—

ნიუ-იორკის ახლო კუნძულზე აფეთქდა ასი ვაგონი, საომარი მასალით დატვირთული; მთელი კუნძული ნანგრევებითაა სავსე. დაიღუპა მრავალი მუშა, ჯერ გოსპიტალში მოიტანეს 75 გვამი; ცეცხლში დაიწვა 40,000 ტონა შაქარი და 13 საქონლის საწყობი; დაინგრა 6 გემის ბაქანი; ზარალი აღემატება 50 მილიონ მანათს; დაზიანდა ცნობილი ქანდაკება თავისუფლებისა; მთავრობა ფიქრობს, რომ ეს საქმე გერმანელების მოწყობილიაო.

—

„M. D. N“ ცნობით, რუსეთ-იაპონიის შეთანხმების ძალით, იაპონიამ მიიღო ნაწილი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზისა, რომელიც აქამდის რუსების ხელში იყო; დათმობილი რკინის გზა სიგრძით 70 ვერსამდეა, ცხრა სადგურით, რომელთაგანაც ყველაზედ უფრო ჩრდილო ოთხი ვერსის მანძილზეა ქალ. სუნგარიდან.

—

„რუსკია ვედომოსტებში“ მოთავსებულია მოწოდება სრულიად გერმანეთის კავშირისა.

—„ჩვენი კავშირიო, ამბობს მოწოდება, აკავშირებს ყველა გერმანელთ, რომელთაც ულევის გერმანული გრძნობა; იგი ჰკრეფს ერთად ყველას, ვინც მიუხედავად მთავრობის და პარტიათა განწყობილებისა ებრძვის ყველაფერს „არა გერმანულს“, როგორც გერმანეთში ისე გერმანეთის ახლოს; ჩვენი კავშირი ხელს უწყობს ყველას ვინც იბრძვის სადმე ეროვნული ინტერესებისათვის; სამშობლოში კავშირი უნდა იყვეს გერმანეთის ერის სინიდისათ, საზღვარ-გარედ იგი ესწრაფის შეითვისოს ყველა ჩვენი თვისტომნი.

—

როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან, იქ განზრახულია სრულიად მონარქისტთა ყრილობა.

—

მოსკოვში მყოფი ტერ-მიკირტიჩევის საკომისიო კანტორა გაუჩხრეკიათ; აბრალებენ სპეკულიაციაში მონაწილეობას.

—

დ. კასრაძის წერილის დასასრული: „აჭარლების საქმე“, ავტორისა და რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ვერ იბეჭდება.

# ახალი ამბავი

**უმაღლესი ჯილდო.** ბრძოლის ველზე გმირულ თავის გამოჩინებისათვის უმაღლესად ებოძათ წმ. ვლადიმირის ორდენი 2 ხარისხისა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს მათ უდიდებულესობის ამალის გენერალ მაიორ ზაქარია მდივანს და წმ. ვლადიმერის ორდენი 3 ხარისხისა დივიზიონის უფროსს პოლკოვნიკ თ-დ ქაიხოსრო სოლოღაშვილს.

**ღვინის გადატანა.** თანახმად გენ. ინფანტერ. იანუშკევიჩის განკარგულებისა, ღვინის გადატანა ბოჩკით არა უმეტეს 5 ვედრისა და ბოთლით არა უმეტეს 60 ცალისა შეიძლება ყველგან, მხოლოდ ადგილობრივ სამაზრო საპოლიციო მოწმობით, სადაც ნიშანდობლივ უნდა იყოს აღნიშნული როგორც ღვინის რაოდენობა ისე ის ალაგი სადაც ღვინო გადააქვთ.

**გენერალ იუდენიჩისაგან** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა თავის ტელეგრამის საპასუხოდ სამადლობელი დეპეშა მიიღო ერძინჯანის აღებისა გამო.

**პრინცი პ. ა. ოლდენბურგისა** კვირას, 17 ივლისს თბილისში ჩამოვიდა. იმავე დღეს კოჯორში წაბრძანდა.

**მამულის შეძენა.** სოფ. ლამისყანისა და თეზის (ქართლი) გლეხებმა საადგილ-მამულო კომისიის დახმარებით შეიძინეს 830 დესეტინა მამული ს. ლამის-ყანაში. მთელი მამული დაჯდა 120 ათას მანეთად. 1 დესეტინაზე მოდის 136 მანეთამდე. ეს მამული წინად ეკუთვნოდა თავ. ერისთვებს, რომელთაგან ის გადავიდა ბ-ნ შლიტერის ხელში, ხოლო ამ უკანასკნელისაგან იყიდეს ეხლა გლეხებმა (150 კომლმა). ეხლა უნდა მისცენ გლეხებმა ბ-ნ შლიტერს ბანკის საშუალებით 53 ათასი მანეთი, ხოლო დანარჩენი ფული ნაწილ-ნაწილ უნდა იხადონ 3 წლის განმავლობაში.

**შუამდგომლობა.** ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მესვეურნი ამ დღეებში აღძრავენ შუამდგომლობას სხვა და სხვა დაწესებულებების წინაშე დახმარების და უპროცენტო სესხის მიღების შესახებ, დარბევისაგან მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად.

**ქალაქის საბჭოს** მუშაობა შეწყვეტილა, რადგან დიდძალი ნაწილი ხმოსნებისა ქალაქ გარედ გავიდა. კრებები განახლდება მარიამობისთვეში.

**მოხელეთა კოოპერატივის** საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებით იმ მოხელეთ ვისაც ამ კოოპერატივში სურთ ჩიწერა უნდა მიმართონ დამფუძნებელ წევრებს ამ კოოპერატივისას. დამფუძნებელთა შორის სხვათა შორის ითვლება ა. ა. დავითაშვილი—სასინოდო კანტორაში ტელეფონი 7—06. პენსიონერები ხაზინაში ეწერებიან.

**სიღნაღის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების** ბალანსი მკათათვის 1 რიცხვს უდრიდა 35,000 მან. 48 კ. ამ რიცხვში განაღდებული ვექსილები იყო 357,705 მანათისა, გარდამავალი თანხები 29,449 მანეთისა, მოძრავი თანხა 20% 74,600 მან. სათადარიგო თანხა 1,668 მან. 99 კაპ. სპეციალური თანხები 19,068 მ. 24 კ. შეტანილი თანხები 165,292 მ. 81 კ. საზოგადოებაში ამ ჟამად 863 წევრი ითვლება. გამგეობის თავმჯდომარედ კ. ი. ტყავაძე, ხოლო წევრებად ი. პ. სარაჯიშვილი და ი. ა. ზურიევი.

**სასოფლო-სამეურნეო აღწერილობა.** მთავარ რწმუნებულმა სასოფლო-სამეურნეო აღწერილობისამ კავკასიაში მიმართა ყველა გუბერნიებისა და ოლქების უფროსს წინადადებით, რომ 1) მთელი აღწერილობის დამთავრების შემდეგ მათ მოახდინონ კვლავ მოკლე განმეორებითი აღწერა დაახლოვებით 3% სოფლებიდან, 2) ეს განმეორებითი აღწერა გამოცდილ სტატისტიკოსების ხელმძღვანელობით უნდა მოხდეს სოფლის მთლიან ყრილობებზე.—აღწერილობა თბ. გუბერნიის ბევრ ალაგას უკვე მთავრდება. მკათათვის ბოლო რიცხვებში კი აღწერილობა დამთავრდება მთელ კავკასიაში. ამჟამად აღწერილობა დამთავრდა უკვე ბორჩალოს მაზრაში და გორის მაზრის მთიან ოსეთში.

**ქალაქის წყალი.** ქალაქის გამგეობისა და სათანადო კომისიის შეერთებულმა კრებამ მოიწონა ინჟინერის გრ. ქურდიანის წინადადება შესახებ წყლის გამოყვანისა ბეღლეთის წყაროებიდან (დუშეთის მაზრა). კრებაზე ხმოსანმა სტ. ჭრელაშვილმა განაცხადა, რომ განხორციელებულ იქმნას ამავე ბ-ნ ქურდიანის პროექტი შესახებ წყლის გამოყვანისა არაგვიდან საქალაქო მიწების მოსარწყავად. ჭრელაშვილის განცხადება კრებამ შეიწყნარა.

**ელიობა.** ოთხშაბათს, 20 მკათათვეს, წმ. წინასწარმეტყველი ელიას სამლოცველოში, რომელიც მდებარეობს მახათის გორაზე, ელიაობას შესრულდება სამღვთო ლიტურღია.

**სტუდენტ გრიგ. ხერხეულიძის დაკრძალვა.** გუშინ, წმ. ნინოს სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ტრაღიკულად დაღუპულ სტუდენტ გრიგოლ ზურაბის ძე ხერხეულიძის გვამი. ხალხი ბევრი დაესწრო.

**ზილანი.** გული დამწყვიტა სამშობლოს საუკეთესო შვილის ალექსანდრე ყიფშიძის გარდაცვალებამ. ნიკო კოჩაშვილი.

**ქალაქის გამგეობის წევრი ვ. ჟურული** 21 ამა თვეს დასასვენებლად მიდის. მისი თანამდებობის შესრულება დავალებული აქვს გამგეობის წევრს ბ-ნს ათაბეგოვს.

**რკინის გზების მთავარი ინსპექტორი** ინჟ. ლანგადა თბილისში ჩამოვიდა.

**ტრამვაის ღამის მოძრაობა** ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებით 20 მარიამობისთვიდან სრულიად ისპობა. ჯერ-ჯერობით კი უნდა შეამცირონ ვაგონები. ოცი ვაგონის ნაცვლად ღამე იმოძრავებს სულ 10 ვაგონი.

**ავტომობილის მსხვერპლი.** 17 მკათათვეს მიხეილის პროსპექტზე ავტომობილი № 998, რომელსაც შოფერი აზნაუროვი მიაქროლებდა, წამოეწია პარიკმახერის მოწაფეს ი. მეგრელიშვილს 13 წლისას და ზედ გადაუარა. საბრალო ბავშვი გონება დაკარგული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

**მხატვართა მუშაობა.** ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წევრნი ბ-ნნი თოიძე, შევარდნაძე, ჭიაურელი და გულიაშვილი—განაგრძობენ მუშაობას სოფ. ნაბახტევში (ზემო ქართლი). მათ უკვე გადაიღეს ძველი ეკლესიიდან ათი ფრესკი და დარჩა გადასაღებად ერთი კედლის მხატვრობა.

**შემოიტანეს.** თბილისში 18 მკათათვეს: ფქვილი 12 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., შეშა 6 ვაგ., ქერი 4 ვაგონი.

**გადამდები სნეულებანი.** 18 მკათათვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: მუცელათი 7 მენინგიტიანი 2, საოფლიანი 168, სახადიანი 52, ქუნთრუშიანი 36, ხუნაგიანი 6, ყვავილიანი 2 კაცი.

**დ. ახალ-ხენაკი.**

— ჩვენ დაბაში შაქარი არ მოიპოვება, ვინაიდან ვაჭრებს დამალული აქვთ სხვა და სხვა შენობებში. იყიდება მხოლოდ შაქრის ფხვნილი, ისიც ნაკლები ხარისხის.

— სოფლებიდან ჩამოსული გლეხები მოსავალზე დიდ იმედს იძლევიან. ვენახებიც კარგია, თუ ავდარმა და სეტყვამ არ გააფუჭა.

# გადმოხვეწილთა დაგინავება

პეტროგრადში დაბრუნდა გადმოხვეწილთა მომწყობი განსაკუთრებული თათბირის თავმჯდომარე სახელმწიფო საბჭოს წევრი ვ. პ. ენგელგარტი.

ამ უკანასკნელ დროს გადმოხვეწილთა მომწყობი განყოფილება შეუდგა აღნუსხვას და გამოკვლევას ყველა იმ აუარებელ თანხებისა, რომელიც გადადვა მთავრობამ და სხვა დაწესებულებებმა გადმოხვეწილთა მოსაწყობად. გამოირკვა რომ მუდმივი დახმარების სიებში აღნიშნული იყო 3 მილიონი ექვსას ათასი კაცი. დაწვრილებით გამოძიებამ კი აღმოაჩინა, რომ სულ გადმოხვეწილები იყვენ მხოლოდ სამი მილიონი. ამის გამო განზრახულია რევიზიის დანიშვნა ყველა იმ დაწესებულებებისა, რომელნიც გადმოხვეწილებს უწევენ დახმარებას. რევიზიის სათავეში დანიშნავენ სენატორს, რომელსაც ფრიად ფართე უფლებები მიენიჭება. მიაქციეს ყურადღება აგრეთვე იმ გარემოებას რომ გადმოხვეწილთათვის მხოლოდ ტანისამოსის შესაძენად დახარჯულა 33 მილიონი მანეთი.

# გზა და გზა

(შემდეგი)

**მთის ტირილი**

მთა სტირის...

შეგისმენიათ კი როდისმე ტირილი და ისიც მთისა? განუსაზღვრელი სევდა... მეტყვით თქვენ. ეს არ კმარა. სულ სხვაა მთის ტირილი. მის სევდის კრიალოსანის ჩამომარცვლა მას შეუძლიან, ვისაც უნახავს მთა, ვისაც პირში შეუხედნია თვით სოფლისთვის.

ჩუმი და ჩათხრობილია ეს ქვითინი. დრტვინვა მთისა უხმოა, როგორც მთის კვნესა შავლრუბელთა შემოწოლის დროს. რას იტყვით ისეთსა რომ მთა გააკვირვოთ? ისტორიულ უსამართლობას? და განა ბედის სამართალი ვინ მისცა მთასა? წარსულის ტირილს? და განა მისი სილაღის შებორკილება ნაკლებად არის სავალალო? მოსთქვას ბარმა. იგი მთისთვის მხოლოდ ფერმკრთალი მაყრულია. ბარმა უწყის თვის სიმღერათა შორის ისეთი, რომლის სიმებიც შეწყობით სულ ლაჟვარდ ხმაზე წკრიალობენ, მხიარულად, არც ერთი მისი ნოტი არ შეგასმენთ მწუხრის ანაკვნეს მელოდიას; სამაგიეროდ მოიარეთ მთა: ხევსურის გულჩათხრობილი ღიღინი მოისმინეთ, მოისმინეთ ეს კვნესა-კაეშნის ლიტანია და მაშინ მიხვდებით, თუ რას ნიშნავს მთის ტირილი, მთის კვნესა, მთის უხმო გოდება-ქვითინი, რომელმაც არ უწყის რაა ლაჟვარდი თუ ლეგენდარულ განთიადის ცქრიალა სამოსი.

თუ ზოგადად მოთქმა-გოდების ლიტანიას უვლის მთა, დღეს გმინვა მისი ვულკანისებურად ჰბორგავს და არ უწყის მოსვენება. ვიცით, მთელს ქვეყნის ვაებასთან ერთად ჩვენი ბარიც დააქვრივა და ააგლოვა ომის მრისხანე ცეცხლის ლახტმა, მაგრამ რაა ბარის გოდება და მისი სასომიხდილება მთის ტირილთან შედარებით? ბარელთა შიმშილობის წინ თრთოლვა მთიელთათვის ძველი ნაცნობი სტუმარია. არა, ამ მხრივ არ არის აღსანიშნავი მისი გოდება თუ პირმოხსნილ ცრემლთა ღვართქაფის ნიაღვარი. მოდით, ნახევით მთა და მის გულიდან აღმოხეთქილ ბალღამის შადრევანთა ჩხრიალზე მიხვდებით მის ტირილის საიდუმლოსა.

უბრალო, სრულიად მარტივი სურათი.

თქვენ იცით, თუ რა ზარი იყო მთელს საქართველოსთვის უკანასკნელ მოლაშქრეთა გაწვევა. ბარმა ხმა გამოსცა. მაგრამ რა მოხდა მთაში? როგორ მიიღო იგი მთამ? ეს არავინ იცის. მთა კურთხეული ჩვენი ბარი არ გახლავთ, რომ ყოველისფერი თავის დროზე მოდიოდეს. ნაგვიანევია აქ გაზაფხული და შემოდგომა ნაადრევი. ამ მცირე პერიოდში უნდა მოესწროს ყოველისფრის მოგვარება თუ ჰსურს ხანგრძლივ ზამთარს ზურგ მომაგრებული დახვდეს. აი, ეხლაც გახველთ მინდვრად და ბევრგან ჯერ მწვანე შეუმწიფებელს ყანებს ნახავთ. უკანასკნელი მოლაშქრეებიც მიჰყავთ. მაშ ვინღა რჩება პატრონად, ვინ? ბევრგან სოფელი ექვსიოდე კაცის, ისიც დაავადმყოფებულია, ანაბარად რჩება. ეს იგივეა, რომ ოჯახს გარედან კარი გადურაზოთ და სახლს ცეცხლი მისცეთ ირგვლივ. აი, დაჰხედეთ ქვეშეთის საბოქაულოს კარზე მწუხარე სახით ატუზულს მთიელებს და მაშინ მიხვდებით რა ყოფილა ეს უკანასკნელი ზარი მთიელთათვის. მოხევეს ვერას გზით ვერ დაარწმუნებთ, თუ ქვეშეთის „პრისტავზე“ დიდი ვინმეა ქვეყნად. განა ყაზბეგსაც ეს არ შეჰნიშნეს ცხვარში ყოფნის დროს? ჩვენი ბატონიშვილი რომ კარგი კაცი ყოფილიყო ქვეშეთის პრისტავი გამოვიდოდაო („ნაწყემსარის მოგონებანი“). მართლაც, ქვეშეთის „პრისტავზე“ დიდი და „ხენწიფის სწორი“ მთიელთათვის არავინ არის. და აი, ჩვენი მოხევეებიც ერთი ვერსის მანძილიდან ქუდმოხდით და დაჩოქვით ევედრებიან შეიბრალონ, ნუ გამოსწირვენ მათს ოჯახს. ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, გულგრილად გადიტანოს ეს სცენები. გუშინ ასეთი სურათის მოწმე გახლდით: ხსენებულ ბოქაულის კარზე გამოჩნდა მხარბეჭიანი მოხევე, დაახლოვებით ასე 40 წლისა. ვაჟკაცურს გამომეტყველებაზე უცნაური ალმური უთრთოდა. ქცევა, ლაპარაკი მთვრალური ჰქონდა.

— რა გინდა?

ეკითხება ბოქაული და ისიც მწარე კილოთი მოუთხრობს არეულად:

— შენი სიცოცხლე. მენა მეცხვარე გახლავარ. ოთხი შვილი ომში წაიყვანეს. ახლა უკანასკნელი შვილიშვილიც და მე გამიწვიეს. ცხვრს რაღაი ვუყო შენი კვნესამე! ბარემ მომკალით და ესღაა!

უბედურს, ჩალის ფასად ცხვარი გაეყიდა. ოჯახი ქალთა ანაბარად მიეტოვებინა და ქვეშეთის ქვეყნიურს ღმერთს შველასა სთხოვდა, ეს იმ შველას, რომელიც სიტყვიერ ნუგეშსაც ადვილად ვერ ჰპოვებს განწირულ მთიელთა გასამაგრებლად.

* * *

ბარი მთასთან მითია ბედნიერი, რომ მან არ უწყის „იძულებითი მუშაობა“. რუსეთის კანონმდებლობამ ამგვარი მუშაობა დიდი ხანია აჰლაგმა, დაჰგმო. მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის და განსაკუთრებით მთისთვის დაირღვა ეს კანონმდებლობა, მხოლოდ მას აღუდგინეს ძველი ბატონ-ყმური ხანა.

მოგეხსენებათ, ამ მთასა სჭრის სამხედრო გზა. აი ამ გზის შესაკეთებლად ინჟინერი მოითხოვს ყოველ დღე 30—50 კაცს, ურემსა და ცხენს, ამ ცეცხლის კეთების დროს, როდესაც მუშა ხელი დღიურად უკანასკნელ ორსა და ხშირად სამს მანეთზე ადის, აქ ინჟინერი მანეთად ისტუმრებს და ისიც ღმერთმა უწყის როგორ და ან რა სახით. ხარჯის გასტუმრება საზოგადოდ თვის დამლევსა ხდება. სოფლელები ხშირად 30 ვერსის სიშორიდან ჩამოდიან სამოწყალოს ხვედრის მისაღებად, მაგრამ ყველას ერთნაირად არ აძლევენ, ვადას უნიშნავენ, აი, ამ დროს მოდი და მიიღებო, ზოგს იმით ატყუებენ „ტაბელში“ არა ხარ ჩანიშნულიო და ფეხს აკვეთინებენ უბედურებს.

მაგრამ სამხედრო გზა მოხევეთათვის მარტო ამ მხრივ როდია სავალალო. აი ამ გზით მოედინებიან დღეში ათასობით საქონელს კავკასიის ფრონტისათვის. ეს საქონელი გზა-გზა ყოველისფერს ანადგურებს. ისედაც უვლელად დარჩენილი სოფელი იძულებული ხდება თავისი წვრილფეხობა გამოჰფინოს, ქალი, ბავშვებით ჩაუდგეს გზა-გზა ნათესს, რომ გაოხრებისაგან დაიფაროს. მაგრამ ეს როდია საანგარიშო, არამედ ის გარემოება, რომ თავგასული მესაქონლენი მუქარით და რისხვით ატყდებიან ჰირნახულის მცველთ, თუ ესენი გაჰბედავენ და ნათესში გადასულ საქონელს სახრის მოქნევით მოიშორებენ. თვითვე მზგავსი მაგალითების მოწმე რამდენჯერმე გავხდი დუშეთისა და ანანურის შუა თუ „რევოლვერით დახვრეტას“ როგორ დაემუქრა თავგასული მესაქონლე პატარა დამცველებს, რომელსაც ვინ იცის, მამამ სანუგეშებლად მხოლოდ ეს ნათესი დაუტოვა.

მაგრამ მარტო ნათესს რომ ჰქონოდა საფრთხე, ისიც დიდი ბედანა არ იქნებოდა მოხევეთათვის. უბედურობა ის გახლავთ, რომ გზა—გზა მესაქონლები მოხვედრილ ხარს თუ ძროხას ანუ ცხენს თავიანთ საქონლებში აურევენ და შემდეგ პატრონმა ბევრიც რომ თავი იმტვრიოს, ვერასფერს გახდება. უბრალო მაგალითი, რასაც საანგდოტოდ „ცხენის კუდი“ შემიძლიან დავარქვა.

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)

# წერილი ხევიდან

(ალექსანდრე ყიფშიძის ფრონელის სახსოვრად)

ჩვენ მას არ ვიცნობდით და ჩვენ მან გაგვაცნო ჩვენი წინაპარნი.

ჩვენ ხევ-მთიულეთის მკვიდრნი ეს ახალი თაობა ვინც ამ ჟამად ვცოცხლობთ სრულიად უვიცნი ვიყავით იმ ამბებისა, იმ ჭირ-ვარამისა, რაც გადაუტარებია თავის თავზედ ჩვენს წინაპართა, იმ დროს როდესაც საქართველო შეუერთდა დიდს რუსეთსა, როდესაც სრულიად ისპობოდა საქართველოს პოლიტიკური სიცოცხლის ძარღვი, ესალმებოდა საბოლოოთ წუთის სოფელს ჩვენი საქართველოს მეფის გმირთა-გმირის ირაკლის დინასტია და ირღვეოდა საძირკვლიანად მათ გვარტომობის უძველესი ბაგრატიონთ ოქროს ტახტი, იმ დროს როდესაც სახელოვანის გმირის ირაკლის კანონიერნი ტახტის მემკვიდრემაძიებელნი, მეფობისა და ტახტისა დევნულნი უსამართლობით და ლტოლვილნი საქართველოს მთა და ბარში, თავის ძვირფასს ოჯახს, სახლ-კარს, ყმა-მამულ დედულს მოკლებულნი დარბეულნი, ნივთიერ ქონება-ჩამორთმეულნი საქართველოს მიწა-წყალზედ უბრალო აბრაგებსავით მტრისგან შევიწროებულნი ხან სად იფარებდენ თავსა და ხან სადა!..

ჩვენ აწინდელმა თაობამ, რომლის შემდეგ მესამე ანუ მეოთხე თაობა ვართ, სრულობითაც არა ვიცოდით რა თუ რას განიცდიდა ხევ-მთიულეთის მაშინდელი თავისუფლების მოყვარე ხალხი ახალის მთავრობის მოხელეებისაგან.

განსვენებულმა ალექსანდრე ყიფშიძემ (ფრონელმა) კი ნათლათ დაგვიხატა და გაგვაცნა ის წინაპარნი, რომელთაც 1801—1804 წლებში რუსის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს. ალექსანდრე ფრონელმა თავის ასტორიულს მოთხრობაში „მთიულეთში“ სისწორით და სიმართლით აგვინიშნა სახელ-გვარები და მოქმედება იმ პირებისა, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ მძიმე უღლის თავიდამ ასაცილებლად და მეფე ირაკლის შვილებთან ერთად დაადგნენ იმ გზას, რითაც შეიძლებოდა ძველებური თავისუფლება მოეპოვა და მთის ხალხს აეშორა თავიდამ მძიმე ბეგარა, გზების უფასოთ შეკეთება, საქართველოს სამხედრო გზაზე ბარგის და სურსათის უფასოთვე გადატანა. ალ. ფრონელის მოთხრობამ თითქო ჩვენი წინაპრებისაგან ზეპირგადმოცემები მთლათ გაგვიმართლა; თითქო ამ ისტორიულმა ამბებმა გაგვიცოცხლა ჩვენი გმირი სიტყვით გაგონილი მამა-პაპები.

მე ამისი დამწერი ვარ მეოთხე თაობა იმ ერთის მოხევის მებრძოლ-მეშფოთარის გვამისა, რომელმაც მდინარე თერგზედ ჯარისთვის გამოსასვლელათ არშაში მომზადებული ხიდი ჩააგდო ღამე ქურდულათა და მეორეს დღეს პოლკოვნიკს ბილახოვს გამოსვლაში ხელი შეუშალა. ეს ჩემის პაპის მამა ნადირა (იგივე აბრამა) კობაიძე იყო, რომელიც 12 წლიწადი მეფის ძეს ვახტანგთან ქ. დუშეთში მსახურობდა ყმაწვილი კაცი, რომლის კარზედაც ჩინებულათ შეესწავლა ქართული წერა-კითხვა და ლექსაობა. პაპაჩემი შვილი ამ ნადირა კობაიძესი გარდაიცვალა 1888 წ. ასის წლის მოხუცი, რომელმაც კარგათ იცოდა მეფე ირაკლის შვილების ყოფა-ცხოვრება და გადასახლება ძალდატანებით რუსეთში. მამა ჩემს სიგიელით ამ სამსახურისთვის მეფე ირაკლის შვილმა ვახტანგმა ანუ ალმასხანმა სოფ. სიონში ეს ადგილი გვაჩუქაო და ბევრს სხვა წყალობას გვპირდებოდა, მაგრამ რუსეთს ძალათი ცოლშვილით გადაასახლესო და ჩვენთვისაც ცუდათ მოხდაო. კარგათ ახსოვდა პაპაჩემს ხიდის ჩაგდება თავის მამის მიერ რუსების საწინააღმდეგოთ; ახსოვდა ფარნაოზის მიერ ზაალ მოურავის კობიაშვილის მეთაურობით სიონში რუსის ჯართან მთიულ-ჯამურელთ და მოხევეთ შებრძოლება; გამარჯვება რუსის ჯარისა და ბილახოვის მიერ სოფელ რეონის დაწვა; მლეთის დაწვა, ლომისს მთაზედ (მლეთის მთა) ქსნისაკენ მთიულების გამარჯვება, ზარალი რუსის ჯარისა.

ამაზედ არის შემდეგი ლექსი:

შანშე ერისთავს აქებენ,
რუსობას უდგას წინაო,
ქსანზედ აპირობს
წასვლასა, ლომისას
დადგა ბინაო,
ეგ მთიულთ გამოქცეული
ნაბდით ჩათარეს შინაო.

კალმით აუწერელი ამბები არის ზეპირ-გადმოცემაში იმ უბედურის დროსი, ბევრის რისამე სიმწარის და სისაძაგლის მოწამე არის საქართველოს სამხედრო გზა; ამ გზით ისტუმრებოდენ თურმე ყოველნი თავისუფლებისათვის მებრძოლნი და ტახტის მაძიებელნი მეფის ერეკლის ძენი, ასულნი, თვით დედოფალი მარიამი და მრავალნი წარჩინებულნი საქართველოს თავად-აზნაურნი და გლეხნი, რომელთაც-კი შეატყობდენ შეთქმულობასა. ამ ძალდატანებით რუსეთისკენ გადასახლებულთ ყოველთვის ხალხი ეგებებოდა გზებში და ეალერსებოდაო, მაგრამ სასტიკათ უკრძალავდენ მცველები მიახლოვებას და გამოლაპარაკებასაო. ალმასხანს (ვახტანგს) სოფ. რეონთან ხალხი დახვდა და უთხრა:

— გვენანებით, რომ უცხო ქვეყანაში მიბძანდებით დიდო მეფის შვილო, და დიდი ბრალი არის თქვენის ოჯახის დარღვევაო!

მან უპასუხა:

— რა ვქნათ, ბედმა ასე დაგვმართაო; თქვენს ღვთის მშობელს შემახვეწეთო!

ამ სიტყვებზედ გამცილებლები ხალხს ხიშტებით დაერივნენ, გაფანტესო, და ბ-ნის შვილს სიტყვა გააწყვეტინესო. აქვე სოფელს სიონის მკვიდრთ გოშპარ კობიაშვილი იმ დროს ალაგს გვედავებოდაო, რუსის მოსამართლის ხელში იყო საქმე საწარმოებლათა და გზაში ვახტანგს შეეკითხნენო:

— ვახტანგ ცარევიჩ! კობიაშვილს აქ სიონში თქვენგან საძოვარი მიწა აქვს რამე ნაჩუქარიო?

— მე არ მახსოვს, თუ რამე ვისმე აქვს სადმეო, იმათ ჩემის მამისა ან ჩემი და ჩემის ძმებისა სიგელი ექნებათო.

**კალმისწვერა.**

(შემდეგი იქნება)

# წერილი გორიდან

გორელები ძლიერ ჩააფიქრიანა ხოლერის ნიშნებმა. ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას მოუწყვია უფასო საჩაიე და მალე მოქმედებასაც დაიწყებს. ბაზრის მეთვალყურეებს დავალებული აქვთ ყველა ხილეულობა გაშინჯონ და მხოლოდ ამის შემდეგ ბაყლებს ნება ეძლევათ ხილის გაყიდვისა. ეხლა გორში ყურძენიც შემოვიდა, რომელიც ისვრიმს უფრო წაავავს. ვგონებთ რომ ეს ხელს შეუწყობს და ბაზრის მეთვალყურეთ ამას ყურადღება უნდა მიაქციონ მაგრამ ბაყლები ამას არ დაგიდევენ ოღონდ კი ისარგებლონ. 17 მკათათვეს ერთმა მეთვალყურემ სამეფო ქუჩაზე მოინდომა მისი გასინჯვა, მაგრამ ბაყალმა არამც თუ ნება არ დართო გაშიჯვისა, არამედ სიტყვიერი შეურაცყოფაც მიაყენა. მეთვალყურე ამაოდ უძახდა პოლიციელს და როგორც ამბობდნენ ესენი მიიმალ-მოიმალნენ. ერთი სიტყვით გორელ ვაჭრების თავხედობას საზღვარი არ უჩანს.

ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი ქ. გორში ეხლა აღარ არის.

# წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ „საქართველოს“ რედაქციას მოათავსოს გაზეთის უმახლობელეს ნომერში, რომ 9-ს ივნისს ჩვენი დიდი აკაკის დაბადების დღეს, ბათომის საკრებულო დარბაზში, ადგილობრივ წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილების გამგეობის თაოსნობით, იყო გამართული სალიტერატურო საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი ას ორმოცდა თოთხმეტი (154) მანეთი გაეგზავნა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ დანიშნულებისამებრ მოსახმარად.

გამგეობის თავმჯდომარე **გრ. ელიავა.**

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1. მღვდელმა ალექსი თევზაძემ: ორი ტყავზე ნაწერი სახარება.
2. ვარლამ სოლომონის ძემ ახვლედიანმა—ლიზამახის ოქროს ფული.
3. ერმილე ნაკაშიძემ—1819 წლის „საქართველოს გაზეთი“, ერთი ნომერი.
4. დიმიტრი დეკანოზიშვილმა (სოფელ კურდღელაურის ყოვლად წმიდის ეკლესიის მღვდელმა): ა) ხელნაწერი—„ტკივილით მოგონება და გოდება სიკვდილისა“, ბ) დედანი ქართული წერისა (ხელნაწერი), გ) ხელნაწერი ლოცვანი (ყდიანი, პატარა ტანისა), დ) ხელნაწერი—„სწავლანი ზნეობითი და კანონი პატიოსანი კაცისა“, ე) ხელნაწერი—„საქრისტიანო მოძღვრება“, ვ) თიხის საცრემლე, ზ) 2 ქილა თიხისა (მიწაში ნაპოვნი), ჱ) რკინის მაშხალა და თ) უსუპის თავი (მძივიანი მავთულით მოქსოვილი).
5. ი. შოშიაშვილმა (რუისპირის მღვდელმა): ა) მხედრულად ნაბეჭდი წიგნი—იოანე ოქროპირის 6 სიტყვა, ბ) ხუცური: ნაბეჭდი სახარება, სამოციქულო და წმ. იოანე ხუთისმეტყველის განცხადება.
6. სოფიო ბადურაშვილი (ქ. თელავი): ა) ქრისტომატია, მხედრულად ნაბეჭდი, ბ) კრიალოსანი, გ) შანდალი და დ) ორი ზაპინკა ძველი ორ-აბაზიანებისა.
7. იროდიონ შავლიაშვილმა, მღვდელმა: ა) პატარა ტანის სახარება, ნაბეჭდი.
8. გიორგი ხიზანაშვილმა: ორი ბიზანტიური შავი ფული.
9. არჩილ ყარალაშვილმა: თეთრი ფული.
10. გიორგი ინაშვილმა (ახმეტის მღვდელმა): ა) ხის პატარა ხატი და ბ) მინაქრის ხატი.
11. მღვდელმა ნიკოლიშვილმა: დამბაჩა (ზიათა).
12. სოფიო გ. ჩხიკვაძემ: რქის საპირისწამლე.
13. კოტე ბოტკოელმა: ორყურიანი ქილა.

მე-4—13 მუხლებში მოხსენებული შემოწირულებანი გადმოგვცა ზ. ი. ჩხიკვაძემ.

14. ანნა და ივანე ზედგინიძეებმა: ა) შეიდიში, ბ) მაკრატელი, გ) სამი თეთრი და ოთხი შავი ფული და დ) თმის გასაყოფი.

საზოგადოების საბჭო გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | | 58 „ | საღ. |

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც [illegible] ტყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:
Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.
ან კიდევ მეორე:
Banque populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія — Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la Croix Rouge.
Agence des prisonniers de guerre Genève.

**თუ გსურთ,**

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

**მიმართეთ ცნობის კონტორას ი. თ. გვათუასას**

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

**„განათლება“-ში**

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Гаварткиладзэ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Гаварткиладзе.

**საგალანტერიო მაღაზია ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, სანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო ხაუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

**თევზის მრეწველნი ძმ. მესხელოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ზვით“, მრეწველობიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „შოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი, ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.